გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N25 (9241) | 11 სექტემბერი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

## გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!



4

**კომისიების დაკომპლექტების წინ ბოიკოტის მიზეზი უცნობია** 2

**ინციდენტი 54-ე სკოლაში**

**სტატისტიკა იმედის მომცემია – შობადობა მატულობს** 2

## პირველკლასელთა რიცხვის მატება ვაშლის დარიგებას ვერ შველის



6

**საუკეთესოთა შორის საუკეთესოები არიან...**



6

## ოთხი სამტრედიელი მოსწავლე კომაროვის სკოლელის სტატუსით

„რა მშვენიერია გაფითრებული, ცარცისხსნიან ქალაქში აყვავებული ხე"

**მოხალისეობრივი ძალა ამ საქმეს ხერხემლად გამოადგება!** 7

## ამ გზით ტაძრამდე მივალთ... 2

9 „უმაღლესი ღირებულებების მიხედვით უნდა მოხდეს ყოველივეს აღქმა"




# კომისიების დაკომპლექტების წინ ბოიკოტის მიზეზი უცნობია

**სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიამ მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ერთი არჩევნები უკვე ჩაატარა.**

**კომისიის მთელი შემადგენლობა ნანა იმნაძის ხელმძღვანელობით უფლებამოსილი გახლდათ, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები შეერჩია. 50 საარჩევნო უბანზე 380 კონკურსანტიდან შესარჩევი 300 გახლდათ. თითოეულ უბანზე კომისია 6-6 წევრითაა დაკომპლექტებული.**

შესარჩევ სხდომას ბოიკოტი კომისიის 4 წევრმა, ''ევროპული საქართველოს, ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'', ''გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის'' და ''საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის'' წარმომადგენლებმა გამოუცხადეს. ''მიზეზი არ დაუსახელებიათ და ბუნებრივია, ჩვენთვის უცნობია. თუმცა სრული უფლება ჰქონდათ, კომისიის მუშაობაში მიეღოთ, ან არ მიეღოთ მონაწილეობა.'' _ განაცხადა სამტრედიის №54-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა იმნაძემ.

კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიწოდებული სპეციალური განაცხადებით დერეგისტრირდნენ. მთავარი საკონკურსო პირობა წლების განმავლობაში მიღებული საარჩევნო გამოცდილება გახლდათ. ''განაცხადის მიღების შემდეგ საოლქო-საარჩევნო კომისიამ გადაამოწმა ისინი სპეციალურ ბაზაში და არჩევანი შესაბამისი მიმართულებით სერტიფიცირებულ, დიდი გამოცდილების მქონე პირებზე შეაჩერა. მოგეხსენებათ, ზოგადად, საარჩევნო პროცესი არაა ადვილად წასამართი. ასეც რომ არ იყოს, უკვე ეტყობა, რომ რთული არჩევნები გველის და ამ ეტაპზე ახალბედების დაკავება საჭირო პოზიციებზე სარისკო იქნებოდა. რაც შეეხება შესარჩევ კონკურსს, კომისიის თითოეულ წევრს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა კონკურსანტების განაცხადებებს. მათი გადამოწმება სპეციალურ ბაზაშიც ხდებოდა. ''საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრები ნეიტრალურები უნდა იყვნენ, დაუშვებელია ისინი რომელიმე პარტიას წარმოადგენდნენ. როცა საუბნო-საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილება მიეცემათ, არჩევნების ჩატარების თარიღიდან 30 დღით ადრე, არჩევნებში მონაწილე თითოეული პარტიის წარმომადგენლის დანიშვნა მოხდება. კომისიის ამჯერად არჩეული წევრები, როგორც უკვე აღვნიშნე, არც ერთი პარტიის წარმომადგენლები არ არიან.'' _ აკონკრეტებს ნანა იმნაძე.

***თეა ბაბუნაშვილი***

# ინციდენტი 54-ე ოლქში

ხმაური იყო 1-ლ სექტემბერს 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა სამუშაო პროცესი ჩაშალეს. ''სამტრედიის მაცნემ'' ვერ შეძლო დაეფიქსირებინა ფაქტი, თუ როგორ შეიჭრნენ ოლქის შენობაში ''საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული'' მოძრაობის წარმომადგენელი, ფრიდონ შენგელია და ''ნაციონალური მოძრაობის'' წევრი, მამუკა ბიბილეიშვილი.

იმ დროს 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფების დარეგისტრირება მიმდინარეობდა, ოლქის აიტი კომპიუტერში განცხადებების ელექტრონულ ვერსიებზე მუშაობდა.

''ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლებს საკუთარი გადამღები ჯგუფი ახლდათ. მათ ვიდეოკამერით უნდოდათ, დაეფიქსირებინათ, თუ როგორ ირღვევა კანონი, რომლის მიხედვითაც საოლქო საარჩევნო კომისიას ერთადერთი შემოსასვლელ-გასასვლელი უნდა ჰქონდეს.

საოლქო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარის მიერ პოლიცია იქნა გამოძახებული. საქმეზე გამოძიება დაიწყო. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ.

***ნინო ნანიტაშვილი***

# სტატისტიკა იმედის მომცემია – შობადობა მატულობს

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე სამტრედიის დემოგრაფიული ვითარებით მაშინაც ინტერესდებოდა, როცა მას აღნიშნული თანამდებობა არ ეჭირა. ბატონმა დავითმა ''სამტრედიის მაცნეს'' იმედის მომცემი სტატისტიკა მიაწოდა, რომლის თანახმადაც, გასულ წლებთან შედარებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა. საქსტატის მიერ ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგებით, შობადობამ იმატა.

დავით ბახტაძე: ''დემოგრაფიული ვითარება რთულია საქართველოში, ასევე, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, სამტრედიის 2002 და 2014 წლების მოსახლეობის მონაცემების შედარებისას ჩანს, რომ მკვეთრადაა შემცირებული მოსახლეობის რაოდენობა, 2002 წლის მაჩვენებლის მიხედვით სამტრედიის მუნიციპალიტეტში 60 456 ადამიანი იყო დაფიქსირებული, ხოლო 2012 წლის მონაცემების მიხედვით _ 48 562 ადამიანი, ბოლო წლების სტატისტიკა საიმედოა, რადგანაც შობადობა-გარდაცვალების თანაფარდობა არის იმედის მომცემი, ბოლო 2 წლის განმავლობაში შობადობის მკვეთრი ზრდა ფიქსირდება, 2013 წლის მონაცემებით, ჩვენს მუნიციპალიტეტში 305 ახალშობილია. 2014 წლის მონაცემებით კი _ 277. 2015 წლიდან შობადობის მკვეთრი ზრდა შეინიშნება _ 727 ახალშობილი გვყავდა, 2016 წელს _ 656 ახალშობილი. მიუხედავად იმისა, რომ, ჯერჯერობით, შობადობამ ვერ გადაასწრო გარდაცვლილთა რაოდენობას, 2015 -2016 წლებში შობადობის მკვეთრი ზრდა აღინიშნება, ამასთანავე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მაქსიმალურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ერთგვარ სტუმულს მისცემს შობადობის ზრდას. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულია სხვადასხვა სოციალური პროგრამები, მათ შორის: ახალშობილთა დახმარება, დედათა და ბავშვთა დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარება.''

***ნაირა ნაცვლიშვილი***

# საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოს _ საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის/მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი ''სამტრედიის მაცნე'' იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის ''საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ''საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე. საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

# დიდი ეკრანი ღია ცის ქვეშ

52 000 ლარი დაიხარჯა ქალაქის ცენტრში, მომავლის პარკის წინ მონიტორის დამონტაჟებაზე. მუნიციპალიტეტის გამგეობამ სამუშაოების შესრულების გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მიიღო. მოქალაქეებს სურვილი ჰქონდათ, ისევე როგორც სხვა დიდ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში, სამტრედიის ცენტრშიც დადგმულიყო ეკრანი, სადაც ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ტრანსლირება მოხდებოდა. მოსახლეობისათვის ინტერესი განსაკუთრებით სპორტული და კულტურული ღონისძიებების ღია ცის ქვეშ გაშუქებას ითვალისწინებს.

ქალაქის ცენტრში დიდი ეკრანის დამონტაჟებას მოსახლეობის მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

მონიტორის დამონტაჟების პარალელურად კეთილმოწყობის სამსახური ჭადრის ხეების გადაბელვის სამუშაოებს ასრულებდა. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს უკანასკნელი მონიტორის მონტაჟს დაუკავშირა. ადგილობრივ თვითმმართველობას მსგავსი მონიტორების სურვილი იმ ადგილებშიც აქვს, სადაც საზოგადოება თავს იყრის და ისვენებს.

***ნინო ნანიტაშვილი***



# ამ გზით ტაძრამდე მივალთ...



გვახსოვს, რამდენჯერ რამდენს დაგვიწერია, თითქმის 20 წლის წინ, ჯერაც გაურკვეველ ვითარებაში დამწვარი ძველი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ უწესრიგობაზე, სარეველებზე, გუბეებზე, ნაგავსა და...

ერთი სიტყვით, იქ არსებულ უწესრიგობაზე.

თვალსა და გულს ახარებს, ქალაქს ამშვენებს და ალამაზებს მწვანე მინდორი, სპორტული მოედანი და რესპუბლიკის ქუჩიდან წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრამდე მისასვლელი ასფალტბეტონის საფარიანი შესანიშნავი გზა, რომელიც სულ ახლახან გაკეთდა და როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

რაც კარგი, კარგია! ყოჩაღ!

იქნებ, დაემთხვა უბრალოდ, ან ''სამტრედიის მაცნეს'' კრიტიკულმა გამოსვლამ იმოქმედა.

რაც მთავარია, პრობლემა მოგვარდა.

ხახაგამშრალი ფანტანები შეძლებენ დასიცხულთა გამასპინძლებას, ფანტანებში წყალი გაუშვეს.

ისევ გზებზე...

ქალაქში და არა მარტო ქალაქში ბოლო დროს არაერთ ქუჩაზე, შესახვევში, ჩიხში დაიგო ასფალტბეტონიანი გზა, მათ შორის ისეთ ადგილებშიც, სადაც არასოდეს ყოფილა ასფალტი.

სპეცტექნიკის საშუალებით სისტემატურად წარმოებს ქალაქის დასუფთავება, თუმცა, კვლავ გაოცებას იწვევს მავანთა გულგრილობა.

გადატრიალებული ნაგვის ურნების, ურნებთან და არა ურნებში დაყრილი ნაგვის, ნაყინის ქაღალდებისა და გამაგრილებელი სასმელების ბოთლების ნახვა არაა ძნელი, განსაკუთრებით დილისა და საღამოს საათებში ქალაქის ქუჩებში, რაც ერთობ გულსატკენია.

საინტერესოა, როდის უნდა გავითავისოთ ქალაქის იერსახეზე ზრუნვა საყოველთაო საფიქრალი რომაა და სანამ უნდა ვწეროთ ეს ყავლგასული ფრაზები უშედეგოდ?

***ლევან ბაბუჩავა***

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# ქუთაისში პრემიერ-მინისტრმა იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები წარადგინა







ნათია ნაცვლიშვილი

2 სექტემბერს ქუთაისის უძველეს უბანში, ბალახვანში შეკრებილ მრავალრიცხოვან საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა იმერეთის რეგიონში "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატები წარუდგინა. ვიდრე შეხვედრის პოლიტიკური ნაწილი და კანდიდატების წარდგენა დაიწყებოდა, იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა წინაშე ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები წარსდგნენ. კონცერტი ანრი ჯოხაძემ გახსნა, მასში ასევე მონაწილეობდნენ ნუცა ბუზალაძე, სოფო ხალვაში, ნოდიკო ტატიშვილი, სალომე ბაკურაძე, სოფო ბედია და კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე.

პარტიის გენერალური მდივანი, კახა კალაძე: "თანამედროვე საქართველოში თვითმმართველობის სწორად ორგანიზება და განვითარება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძლიერი თვითმმართველობა ძლიერი საქართველოა, რადგან ქვეყნის ძლიერება მის დემოკრატიულ განვითარებაზეა დამოკიდებული, ჩვენი გუნდი ზრუნავს იმაზე, რომ ჯანდაცვა, განათლება, სოფლის მეურნეობა გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ".

თავის სიტყვაში პარტია "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა: "წინასაარჩევნო შეხვედრები ქუთაისიდან იმიტომ დავიწყეთ, რომ ქუთაისი არის საქართველოს გული, 5 წლის განმავლობაში "ქართული ოცნება" ძალისხმევას არ იშურებს, რომ წინ წაიყვანოს ქვეყანა და ჩვენი ხალხის მდგომარეობა გააუმჯობესოს. სახელმწიფომ ხელი შეუწყო ბიზნესის, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას და ვაპირებთ ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას. იმერეთი ერთმანეთთან აკავშირებს ჩვენი ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს და ეს მისი უდიდესი პოტენციალია, სწორედ აქ გაივლის აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრალური მაგისტრალები, შენდება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი და სადგური, იგეგმება საბავშვო ბაღების, სკვერების, კულტურის ცენტრების და სპორტული კომპლექსების მშენებლობა-რეაბილიტაცია. არ შეიძლება არ აღვნიშნო ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი. ქუთაისი აუცილებლად დაიბრუნებს ძველ დიდებას."

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მერობის კანდიდატად მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია დასახელდა. "ეს ადამიანები შეირჩნენ პროფესიონალიზმის და წესიერების ნიშნით, ისინი ყველა არჩევნებზე ჩვენს გვერდით იდგნენ. გვჯერა, 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ერთად გავიმარჯვებთ!" – აღნიშნა პრემიერმა მერობის კანდიდატების წარდგენისას.



უფასო პოლიტიკური რეკლამა

# მერობის კანდიდატად ვალერიანე ფოცხვერია წარადგინეს

ნათია ნაცვლიშვილი

"ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის წინ შეკრებილ მრავალრიცხოვან მოქალაქეთა წინაშე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, ვალერიანე ფოცხვერია წარადგინეს. შეხვედრას "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" საარჩევნო შტაბის უფროსი, ავთანდილ თევზაძე გაუძღვა. სამტრედიის ექსმაჟორიტარმა გიორგი კახიანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: "ჩემო ძვირფასო სამტრედიელებო, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია თქვენს წინაშე წარდგომა, ასევე დიდი პატივი იყო, 4 წლის განმავლობაში სამტრედიის მაჟორიტარის უფლებამოსილებას რომ ვახორციელებდი. ეს დღე ძალიან ემოციურია, ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის და სამტრედიელთათვის ძალიან პატივსაცემი ადამიანის, ვალერი ფოცხვერიას, როგორც მომავალი მერის წარდგენა ხდება, ამ მისიას დიდი სიამოვნებით შევასრულებ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, ჩვენ ერთად ბევრ გამარჯვებას მივაღწიეთ, ბევრი გამარჯვება ვიზეიმეთ, ჩვენს ერთობაში ყოველთვის იყო ძალა. ეს გამარჯვებები, რაც საქართველოს გამარჯვებას ნიშნავს, კახა კალაძემ დაიწყო, გრძელდება და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ გამარჯვებას ვიზეიმებთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და თითოეულ ჩვენგანს კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ თვითმმართველობის არჩევნები არის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელიც პირდაპირი გაგებით ეხება თითოეულ სოფელს, კუთხე-კუნჭულს ამ რაიონის, თქვენ ის ადამიანები უნდა აირჩიოთ, ვინც თქვენი ყოფითი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებათ. დიდი სიფრთხილით ვეკიდებით კანდიდატთა შერჩევის პროცესს, იმიტომ, რომ სხვადასხვა რაიონში ღირსეული ადამიანები წარვადგინოთ, რომლებიც დიდ პატივისცემას იმსახურებენ და ძალიან იშვიათია, რომ მოქმედი გამგებელი დასახელდა მერობის კანდიდატად. ძალიან რთულია, ხალხს თავი შეაყვარო, ვალერისთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მან ბევრი გააკეთა და არაერთხელ დარდით უთქვამს, რომ მეტი უნდა გააკეთოს. რა რესურსიც არის, იმის მაქსიმუმი კეთდება. ამიტომაც, როცა სამტრედიის მერობის კანდიდატზე ვმსჯელობდით, განმეორებით იქნა დასახელებული მისი კანდიდატურა, ეს არის ადამიანი, რომელმაც სამტრედიელებს თავი შეაყვარა, უწესიერესი, საქმისთვის თავგადადებული ადამიანი. დარწმუნებული ვარ, ვალერი ამ მისიასაც კარგად შეასრულებს, მჯერა, სწორი არჩევანი გაკეთდება, ძალიან დიდი გუნდით ვართ წარმოდგენილი, დარწმუნებული ვარ, ერთად გავიმარჯვებთ და ჩვენი გამარჯვება იქნება საქართველოს გამარჯვება. ბატონი გია მიქელაძე ყოველთვის სამტრედიელთა პრობლემებზეა ორიენტირებული, მთავრობაში არ დარჩენილა მინისტრი, მან სამტრედიის პრობლემებზე რომ არ ესაუბროს".

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე:

"ჩემო სამტრედიელებო, უპირველესად მადლობას გიხდით იმ თანადგომისთვის, რომელიც გასწიეთ მაჟორიტარად ჩემი არჩევისათვის, ამ ადგილას, როცა წარმადგინა საქართველოს მთავრობამ, პრემიერ-მინისტრმა და "ქართულმა ოცნებამ", წარმოვთქვი სიტყვები, რომლებიც არ დამვიწყებია და მუდამ ვფიქრობ: ჩემს მიერ გაცემული დაპირებები მეტი შევასრულო, ხედავენ ადამიანები, როგორ სრულდება ეს დაპირებები და როგორ იცვლება ყველაფერი ქალაქში, ეს სასიკეთო ცვლილებები კიდევ მეტი იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, კიდევ მეტი იქნება ბატონ ვალერისთან ერთად. ვალერის კანდიდატურას იმიტომ დავუჭირე მხარი, მასთან ურთიერთობისას ყველა საკითხში ჩავიხედე, გადავხედე მისი საქმიანობის განვლილ წლებს, ვნახე, რა ხდება და როგორ კეთდება და დავრწმუნდი, რომ მისი კანდიდატურა ყველაზე საუკეთესოა. შეგპირდით, მოვიდოდი ყველა კუთხეში და სოფელში და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს ჩაგაბარებდით, დაგპირდით და აუცილებლად ჩაგაბარებთ ერთი წლის შემდეგ ანგარიშს, ვალერისთან, ჩვენს გუნდთან, ახალარჩეულ მერთან და საკრებულოსთან ერთად ძალიან ბევრი უნდა გავაკეთო და ღრმად ვარ დარწმუნებული, ბევრს გავაკეთებთ და აბსოლუტურად შეიცვლება სამტრედიის იერსახე და ის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცევა, თქვენთან ერთად ვალერის დიდი გამარჯვებები და დიდი საქმეების კეთება მინდა ვუსურვო."

გია დალაქიშვილი, იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე: "შარშანაც ამ ადგილას ვიდექით, როდესაც ბატონი გია მიქელაძე წარვადგინეთ, მადლობა მინდა გითხრათ იმ გვერდით დგომისთვის. სამტრედიას როგორც ყოველთვის, უმართლებს. თითოეული თქვენგანი ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაბადებულები იმიტომ, რომ საუკეთესო ადამიანები მოდიან სამტრედიის სინამდვილეში. დიდი მადლობა ყველას!"

ვალერიანე ფოცხვერია: "მოგესალმებით ჩვენო თანაქალაქელებო, ჩვენი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებო, მადლობა იმისათვის, რომ მეორედ ვიმყოფები ტრიბუნასთან, საიდანაც დაიწყო ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის კარიერა. უღრმესი მადლობა გიორგი კახიანს, მან, გამოცდილმა პარლამენტარმა, მხნეობა შემძინა, ჩვენ ერთად ვიდექით, შემდეგ ესტაფეტა გადაეცა გია მიქელაძეს და კვლავ გავაგრძელეთ შენება. თქვენ ხედავთ, როგორ იცვლება ქალაქი, როგორ ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, გიორგი კახიანთან ერთად დავიწყეთ და გავაგრძელებთ, ძალიან ბევრია გასაკეთებელი ამ ქალაქში. კახი კალაძემ და გიორგი კვირიკაშვილმა გადაწყვიტეს, კვლავ შეეთავაზებინათ თქვენთვის ჩემი კანდიდატურა. ჯერი თქვენზეა, მჯერა, ამ ინფრასტრუქტურულ "გარდასახვაში" თქვენი მონაწილეობა იქნება უფრო აქტიური, მხარდაჭერა იქნება უფრო აქტიური. მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" საარჩევნო შტაბს გვერდით დგომისთვის, განსაკუთრებული მადლობა "ქართული ოცნების" ჯარისკაცებს, მოუთმენლად რომ ელით ცვლილებებს, ეს ცვლილებები თქვენი გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენს მოწინააღმდეგეებს მინდა ვუთხრა: არ იყოს ბრძოლა წესების გარეშე, თუკი ქალაქი გვიყვარს, იყოს ისეთი კაცური ბრძოლა, როგორიც ამ ქალაქს ეკადრება, წარმატებას და გამარჯვებას გისურვებთ!"

ავთანდილ თევზაძე, "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" საარჩევნო შტაბის უფროსი: " ჩვენ წარვადგინეთ სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატები, მალე წარვადგენთ საკრებულოს პროპორციული სიით ჩვენს კანდიდატებს, უამრავი საქმის კეთება გვაქვს განზრახული. ვალერი ფოცხვერიას კიდევ ერთხელ წარმატება მინდა ვუსურვო, ჩვენი ვალერი არ გამდიდრებულა ამ წელიწად-ნახევარში, არ უბრძოლია კომერციული ფართებისათვის. 24 საათი სამტრედიის გალამაზებისათვის ზრუნავდა, გაჭირვებულთა გვერდით იდგა. ჩვენ ერთად ვიყავით და ვიმარჯვებდით და გავიმარჯვებთ."

რამდენიმე დღის წინ "ქართულმა ოცნებამ" ასევე წარადგინა ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები: ვახტანგ დუნდუა, კობა ძიძიგური, ზაზა ადეიშვილი, ლაშა რუსია.







# გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!




თეა ბაბუნაშვილი

***პროფკავშირული ბუნტი შპს "საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის შენობის წინ ხელჩართულ ჩხუბში რომ გადაიზარდა, თუ სულ ახალი არა, არც ძველი ამბავია. მტყუან-მართლის ხმაურიანი გარჩევა, ჯერ ისევ არ დასრულებულა. როგორც "დამოუკიდებელი პროფკავშირების", ანუ რკინიგზელთა იმ პროფკავშირების, პროტესტის შიმშილობით გამომხატველ საკუთარ წევრს რომ აუბეს მხარი, წარმომადგენლები აცხადებენ, "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობას დრო მისცეს. რისთვის და რატომ, ამას მათი კომენტარებიდან შევიტყობთ. იმ აქციაზე, "საქართველოს რკინიგზა" და არა მხოლოდ რკინიგზა რომ აახმაურა, არაერთი სამტრედიელი იმყოფებოდა. სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი გვარ-სახელიც არასასურველ კონტექსტში სხვებთან ერთად სამტრედიელებისგან გაისმა. ბუნებრივია, მათი სამტრედიელობის და ადგილობრივების დიდი ინტერესის გამოც, "სამტრედიის მაცნე" პრობლემით დაინტერესდა.***

***რამდენიმე დღეში მოვლენების განვითარების შემდგომ ეტაპებს პროფესიული კავშირების არჩევნები გამოჰკვეთს. მთავარია, რამდენად მივა საზოგადოებამდე სიმართლე მტყუან-მართლის შესახებ და ვისთვის რა დატვირთვას მიიღებს ფრაზა "გაიღვიძე გრიშა ბიძია, დეპოში ვართ!" საქმეს ისე ეტყობა, რომ ეს გამოთქმა ვისთვის უძრაობის, ვისთვის კი ბევრის გასაკვირად მოძრაობის გამომხატველი შეიძლება გახდეს.***

***"ნე ერთი მხრიდან არ იჭრება" ქართული სიბრძნეა. ყოველთვის ასეა და ამჯერადაც ორივე მხარე ირწმუნება, რომ ნაჯახს სწორად, ამასთანავ, პატიოსნად ხმარობს. თუ უკვე დეპოში არ ვართ, პროფკავშირების არჩევნებს დაველოდოთ, სიმართლე-უსამართლობის რამდენადმე მაინც გასარკვევად.***

რკინიგზელთა "ახალი პროფესიული კავშირის" დასავლეთის ორგანიზაციის ოფისში მისულებმა, სიტუაციაში გარკვევა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან დავიწყეთ. მათ კომენტარებს უცვლელად შემოგთავაზებთ.

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ოფისთან სალიანდაგო სამსახურის ლიანდაგის მონტიორის უჩა ხვთისიაშვილის დაწყებულ შიმშილობას არაერთი რკინიგზელი შეუერთდა. კახეთის რკინიგზის

თანამშრომელი უჩა ხვთისიაშვილი პირველი იყო, მასშტაბების გაზრდის შემდეგ მოშიმშილეთა სრული უმრავლესობა "ახალი პროფკავშირების" წევრები გახლდნენ. თუმცა, ასე პროფკავშირის ხელმძღვანელები აცხადებენ. რკინიგზის დეპარტამენტის მესვეურები კი ამტკიცებენ, რომ მოშიმშილეთა შორის რამდენიმე ყოფილი რკინიგზელი და "ახალი პროფკავშირების" რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები, დანარჩენი კი არარკინიგზელი იყო. ამ მოსაზრების საპასუხოდ, როგორც "ახალი პროფკავშირების" დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ თარგამაძე აცხადებს: "საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, კოკა გუნცაძემ თავად განაცხადა, რომ მოშიმშილეთა სრული უმრავლესობა რკინიგზელი იყო. ეს მცდარი ინფორმაცია პრესსამსახურის უფროსმა, დაჩი ცაგურიამ მიაწოდა საზოგადოებას. მოშიმშილეთა მძაფრი რეაქციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლდათ. ცაგურიაა რკინიგზელი და ის ხალხი არა, 20-25 წელი რკინიგზაზე რომ მუშაობდნენ? ზოგი დღესაც მუშაობს და ჩვენი პროფკავშირების წევრობისთვის იდევნება, ზოგიც მათი პირადი ინტერესების გამო გაუშვეს სამსახურებიდან. პირადად მე, 2013 წელს თავად დავწერე განცხადება და წამოვედი, რადგან მუშაობის გაგრძელება ამ პროფკავშირებში გადავწყვიტე. ამის გამო სამსახურიდან მამაჩემი გაუშვეს. მე რკინიგზელთა ოჯახიდან გახლავართ. ასევე სამსახურიდან გაუშვეს ვიტალი გიორგაძის მამა, რომელიც საქართველოს "ახალი პროფკავშირების" პრეზიდენტია. ამ პროფკავშირების შექმნის გადაწყვეტილება რკინიგზელებმა მიიღეს და ჩვენც მათ აგვირჩიეს. როცა უსამართლოდ ექცევიან მუშა-მოსამსახურეებს, ვალდებულები ვართ, ხმა ავიმაღლოთ და მათი დაჩაგვრის უფლება არ მივცეთ. ბევრ მათგანს კომფორტულ კაბინეტებში წამოჯდომის შემდეგ დაავიწყდა ხალხი, დაავიწყდათ ერთ დროს მათთან ერთად რომ ებრძოდნენ უსამართლობას და სჭირდებოდათ ისინი. ახლა აღარ სჭირდებათ?! კახეთში საერთოდ რკინიგზის გაუქმება უნდათ. სატვირთო კი არა, სამგზავრო მატარებლის სიარულია უკვე იქ სათუო. აღიარეს კიდეც, რომ კახეთის რკინიგზიდან მუშების დიდი რაოდენობა გაუშვეს."

მოშიმშილეთა მოთხოვნები, ძირითადად, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და დასაქმებულებთან მიმართებაში არსებული უსამართლო მიდგომების აღმოფხვრა გახლდათ.

"დღეს რკინიგზაში, ფაქტობრივად, შემცირება მიდის და ამას ხელმძღვანელობა რეორგანიზაციად მოიხსენიებს. ისეთ პირობებს უქმნიან, იძულებულს ხდიან თანამშრომლებს, თავად დაწერონ განცხადება და წავიდნენ სამსახურებიდან. აბა, რა ჰქვია იმას, გურჯაანიდან დილით, 8 საათზე, თბილისში რომ უნდა ჩასულიყო თანამშრომელი გამოცხადებაზე ხელის მოსაწერად და მერე მარნეულში სამუშაოს შესასრულებლად? 450 ლარიანი ხელფასით სახლიდან 150 კილომეტრის მოშორებით რომ დაასაქმებ, თუნდაც, საცხოვრებელი ადგილი მისცე, ეყოფა ხელფასი საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად? საცხოვრებელ ადგილში ვაგონი იგულისხმება, რომელშიც არანაირი პირობები არ არის, თბილი წყალიაო, რომ ამბობდნენ, მზეზე გამთბარი წყალი იგულისხმება. საცხოვრებელი ვაგონი, რაც ტელევიზიით აჩვენეს, "დავარცხნილი" ჩააყენეს. სინამდვილეში ნახეთ, როგორ ვაგონებში ცხოვრობენ მუშები! მათაც ეს უნდათ, თავისი სურვილით რომ წავიდნენ სახლში რკინიგზელები, ალიბად აქვთ მათი განცხადებები. რატომ აკეთებენ ამას, არ საუბრობენ. კახეთიდან მარნეულში, მარნეულიდან კახეთში უშვებენ მუშა-მოსამსახურეებს, ცვლიან ადგილებს, ხელოვნურად ართულებენ სიტუაციას, რომ საკუთარი ნებით წავიდეს ხალხი სახლში. სადგურის უფროსის თანაშემწე გახლდით კოპიტნარში. დაჩი ცაგურიამ პირადი ინტერესით გამიუქმა შტატი და ჩაქვში გადამიყვანა, 1000 ლარიანი ხელფასიდან 700 ლარიანზე. არაერთხელ მივმართე სასამართლოს, მაგრამ მათ სასამართლოზეც მიუწვდებათ ხელი. ამჯერად ყველაფერი მზადაა და სარჩელი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში 20 სექტემბრისთვის შევა. გუნცაძე-ცაგურია-ხაინდრავას კლანი მართავს დღეს რკინიგზას. ხელმძღვანელების უმრავლესობა არაპროფესიონალია. რკინიგზელი არაა მამუკა ბახტაძე, არც ვასილ ხორავა, "სინათლის ქალაქიდან" გახლავთ გადმოსული და ინფრასტრუქტურის სამსახური ჩააბარეს რკინიგზაში. დაჩი ცაგურია, მოგეხსენებათ, საიდან მოვიდა. წინა ხელისუფლების გადმონაშთები თავად არიან, ყველა მათგანი მათი პარტიის მხარდამჭერი იყო თავის დროზე და ახლა ჩვენ გვაბრალებენ წინა ხელისუფლების ინტერესების გატარებას. გადავხედოთ და გავიხსენოთ, საიდან დაიწყეს და როგორ მოვიდნენ აქამდე ეს ადამიანები! უშუალოდ დაჩი ცაგურია წინა ხელისუფლების პარტიიდან წამოსული ბიჭია. გაიხსენოს, სად იყო თავად და სად მუშაობდა მისი ძმა იმ დროს. არაპროფესიონალები არიან და იმიტომ ხდება ის, რაც ხდება. როგორ შეიძლება, რკინიგზელის ფორმა დაურიგო 400 კაცს და არ მისცე 100-ს, იმიტომ, რომ ის 100 არაა შენი პროფკავშირის წევრი?! რკინიგზელის ფორმა ერთნაირად ეკუთვნის რკინიგზაზე დასაქმებულ ყველა თანამშრომელს. საზოგადოებას ახსოვს, გარკვეული ხნის წინ პრემიალური სისტემა რომ მოვითხოვეთ. პრემიას აძლევენ დასაქმებულთა იმ ნაწილს, ვინც მათ პროფკავშირშია, იმათ ვინც ჩვენთანაა, არა!" _ ამბობს დამოუკიდებელი პროფკავშირების დასავლეთის რეგიონული განყოფილების უფროსის მოადგილე დავით ვაშაკიძე.

მათივე განცხადებით, გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელის მოახლოებულ არჩევნებში რკინიგზის ხელმძღვანელობას ირაკლი პეტრიაშვილის ნაცვლად გოგა ხაინდრავას მიერ წამოყენებული დავით ოქიტაშვილის კანდიდატურის გასვლა უნდა. დავით ოქიტაშვილი აქამდე ხელოვანთა პროფესიულ კავშირს ხელმძღვანელობდა. მერაბ თარგამაძემ მშრალი შიმშილობა ახლად ნაოპერაციებმა გამოაცხადა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული რომ გახდა, იძულებული შეიქნა შეეწყვიტა. მოშიმშილეებმა პროფკავშირების ახალი ხელმძღვანელობის არჩევნებამდე მისცეს დრო რკინიგზის ხელმძღვანელობას. თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, ისინი კვლავ ქმედით ღონისძიებებს აანონსებენ.

ბუნებრივია, კითხვები "საქართველოს რკინიგზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან, დაჩი ცაგურიასთანაც გაჩნდა, რომლებსაც მან პასუხები გასცა. დაჩი ცაგურიამ შიმშილობის ამ რამდენიმედღიანი აქციის მთავარ "შემოქმედად" საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ჯერ ისევ მოქმედი თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი და რამდენიმე დღეში გასამართი პროფკავშირების არჩევნები დაასახელა. "ახალი პროფკავშირების" დასავლეთ საქართველოს ხელმძღვანელების მსგავსად მის კომენტარსაც, რომელიც საკმაოდ ვრცელია, უცვლელად გთავაზობთ: "სამწუხაროდ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ვხედავდით, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი როგორ აწყობდა პროვოკაციების სერიას "საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის შენობის წინ. ეს არახალია და ჩვენ არ გვიკვირს, მით უმეტეს, რომ სულ რამდენიმე დღეში პროფკავშირების თავმჯდომარის არჩევნები უნდა გაიმართოს. თუმცა, "საქართველოს რკინიგზის" 13 ათასი თანამშრომლისგან მის პროვოკაციას, ვნახეთ, რომ არავინ აჰყვა. მოშიმშილედ მხოლოდ ის ადამიანები ვიხილეთ, მისი უშუალო თანამშრომლები და მის დაქვემდებარებაში მყოფები რომ არიან. რაც შეეხებათ უშუალოდ მერაბ თარგამაძესა და დავით ვაშაკიძეს, ისინი აღარ არიან "საქართველოს რკინიგზის" თანამშრომლები, ისინი პეტრიაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი პროფკავშირების წარმომადგენლები გახლავან. იმ 13 ათას ადამიანს, რომელიც "საქართველოს რკინიგზაშია" დასაქმებული, მზად ვართ, ნებისმიერ დროს შევხვდეთ და გავიაროთ მათთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხები. ეს ადამიანები ატარებენ "საქართველოს რკინიგზის" სახელს, ისინი კი, ვინც იმ დღეებში შენობის წინ შიმშილობდა, პეტრიაშვილის თანამშრომლები არიან და მის სახელს ატარებენ! იმდენად პოლიტიკური სახე მიიღო ამ პროვოკაციამ, აღარავის აღარ ახსოვდა პეტრიაშვილის ინტრიგა.

"საქართველოს რკინიგზის" გადაწყვეტილებით, კახეთის სარკინიგზო ხაზი აღარ გვაქვს ისე დატვირთული, როგორც აქამდე. მოგეხსენებათ, შიმშილობის აქცია სწორედ ამ ხაზზე მომუშავე უჩა ხვთისიაშვილმა დაიწყო. რადგან დატვირთული არ არის, აღარ იყო საჭირო დეფექტოსკოპიის სამსახურის ინტენსიური მუშაობა, ანუ ლიანდაგის შემოწმება ისეთი ინტენსივობით, როგორც ეს ხაზის დატვირთვით მუშაობისას. მასზე მატარებელი არ დადის, რომ დააზიანოს და ქარი და მზე, მოგეხსენებათ, ვერაფერს დააკლებს ლიანდაგს. რკინიგზაზე დადგენილი რეგლამენტით საკმარისია კვარტალში ერთხელ მისი შემოწმება. მიუხედავად ამისა, იქ დასაქმებული ადამიანები ჩვენ სახლში კი არ გავუშვით, შევუნარჩუნეთ ხელფასი, სამსახური, უზრუნველვყავით ტრანსპორტირებით და საცხოვრებლით. ამგვარად დავასაქმეთ ამ სამსახურის თანამშრომლები გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს, მარნეულის ხაზზე. მტკიცება იმისა, რომ "საქართველოს რკინიგზას" იქ დასაქმებულების სახლში გაშვება უნდა, ლოგიკას მოკლებულია, რადგან ეს რომ გვდომოდა, უბრალოდ, პირდაპირ გავუშვებდით. გაუგებარია, ის ავტობუსი, რომელიც გურჯაანიდან ხვთისიაშვილის სხვა კოლეგებს წამოიყვანს, რატომ ხვთისიაშვილს არ წამოიყვანს? თუ როგორ პირობებში იცხოვრებენ მუშა-მოსამსახურეები, სპეციალურად მოწყობილ მედიატურზე ჩვენ ჟურნალისტებსაც ვაჩვენეთ. თავდაპირველად მასთან ერთად საშიმშილოდ ვახო ცისკარიშვილიც დაჯდა, რომელიც შეცდომაში იყო შეყვანილი და მასთან შეხვედრის შემდეგ მან შიმშილობა შეწყვიტა. ხვთისიაშვილი კი პეტრიაშვილის პროფკავშირების წევრი და თანამოაზრეა. ამის შემდეგ იძულებულები გახდნენ ამ პროფკავშირების წარმომადგენლები თავად დამსხდარიყვნენ საშიმშილოდ. მოთხოვნებს, რომლებიც ისედაც მოგვარებული გახლდათ, ჩემი, ანუ პრესსპიკერის და ვასილ ხორავას სამსახურიდან გადადგომის სრულიად გაუგებარი მოთხოვნა დაამატეს. მოგეხსენებათ, შიმშილობა ერთგვარად თავის მოკვლის წინაპირობაა. ჩემთვის ძალიან დუჯერებელია, დღეს ვინმემ თავი მოიკლას იმის გამო, მის უფროსზე რომელიმე სამსახურის პრესსპიკერმა კრიტიკული განცხადება გააკეთა. 21-ე საუკუნეა და არც ჩვენ ვცხოვრობთ ფხენიანში, ამიტომაც იყო ხვთისიაშვილის მოთხოვნები აბსურდული. გადმოვიდნენ ჩემს პირად შეურაცხყოფაზე, მე ხომ მლანძღავდნენ, შემდეგ ჩემი ოჯახის წევრების შეურაცხყოფა დაიწყეს. ამით მათ რკინიგზელების სიმპათიები ვერ მოიპოვეს და არც არასდროს ექნებათ მათი მხარდაჭერა. ვამბობდით და კვლავ ამ აზრზე ვართ, რომ ყველაფერი ეს პეტრიაშვილმა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმა. დაგეგმა იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი პრობლემები აქვს გაერთიანებული პროფკავშირების შიგნით. არსებობენ თავმჯდომარეობის მსურველი სხვა კანდიდატები და დიდი ალბათობით, ირაკლი პერტიაშვილი ამ არჩევნებს, რომელიც 15 სექტემბერს გაიმართება, ვერ მოიგებს. ეს არჩევნები ჩვენ არ გვეხება და არც გვაღელვებს, ვინც უნდათ, ის აირჩიონ. ეს ხალხი პეტრიაშვილმა საკუთარი სკამის გასამაგრებლად დასვა საშიმშილოდ. სხვა საკითხია, რამდენად შიმშილობდნენ. ვისაც ერთხელ მაინც უშიმშილია, იცის, რა შედეგი მოაქვს, თუნდაც, რამდენიმე დღის შიმშილობას. როცა სიტუაცია გამწვავდა, ჩვენ ვნახეთ, 12 დღის ნაშიმშილარი ადამიანები, როგორ ცდილობდნენ საქართველოს რკინიგზის ცენტრალურ ოფისში შემოჭრას. მათ პოლიციის კორდონი გაარღვიეს. ფიზიკურად შეუძლებელია, ადამიანმა 12 დღე იშიმშილოს და მას 6 პოლიციელი აკავებდეს. ეს კიდევ უფრო სერიოზული და თანაც ამაზრზენი პროვოკაციაა პეტრიაშვილის აქტივისტების მიერ მოწყობილი. რკინიგზის ცენტრალურ ოფისში განთავსებულია ცენტრალური სადისპეტჩერო და მატარებელთა მოძრაობისა და მართვის ცენტრი. ეს არის სარეჟიმო ობიექტი, მუშაობის 24 საათიანი რეჟიმით. აქედან იმართება საქართველოში მოძრავი ყველა სატვირთო და სამგზავრო მატარებელი, ხდება მათი უსაფრთხო გადაადგილების ორგანიზება. დაუშვებელია ამ შენობაში მსგავსი პროვოკაციები, როგორც მატარებლების გამართულ მოძრაობაზე საფრთხის შექმნის მცდელობა. მოგეხსენებათ, საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და ეს პირდაპირ ურტყამს მის სატრანზიტო პოტენციალს. გარდა ამისა, ჩვენი კომპანიის უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა იმ ათასობით ადამიანის უსაფრთხო მგზავრობა, ყოველდღიურად რომ გადაჰყავს "საქართველოს რკინიგზას". შენობაში შეჭრის შემოტევით დასრულდა მათი აქცია. არაფერი შეცვლილა, რადგან მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული თავიდანვე გახლდათ. მთელი ეს სპექტაკლი თავისი სავარძლის გასამაგრებლად დადგა პეტრიაშვილმა. ასეთ პროვოკაციებს აწყობდა მისი წინამორბედის მისამართითაც. ალბათ, საზოგადოებას ახსოვს, 2004 წელს სააკაშვილის კუნთმაგარმა აქტივისტებმა როგორ შეათრიეს ის იმ კაბინეტში და ჩასვეს იმ სავარძელში, რომელშიც 12 წელია ზის და არ ეთმობა. უკვე ყოველგვარ ლოგიკას სცდება მისი ბრეჟნევისეული მართვის სტილი. ის ახლა მის მთავარ კონკურენტად დავით ოქიტაშვილს მოიაზრებს, რომელიც არჩევნებში იღებს მონაწილეობას. ეს ჩვენი საქმე არ არის, როგორც უნდათ, ისე ჩაატარონ პროფკავშირების არჩევნები, მთავარია, საზოგადოებამ მუშა-მოსამსახურეთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პროფკავშირული ორგანიზაცია მიიღოს."

პროფკავშირების არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი. სკანდალური განცხადებები და ხმაური ამ დარჩენილ რამდენიმე დღეში სულ უფრო მატულობს. ჯერ მხოლოდ ურთიერთბრალდებები ისმის, სხვა შედეგებზე საუბარი ახლო მომავალში გაგრძელდება.







# საუკეთესოთა შორის საუკეთესოები არიან...

**ნინო ნანიტაშვილი**

მერაბ გეგეჭკორი, თეა მიქელაძე, სალომე ბოცვაძე, მარიამ ცაგურია და მარიამ დანელია ის სამტრედიელი ახალგაზრდები არიან, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი შეფასებები მიიღეს და სახელმწიფოს სრული დაფინანსება მოიპოვეს. მერაბი, თეა, სალომე და ორი მარიამი საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხნენ. კერძოდ, მერაბ გეგეჭკორი კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის მართვა-ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, თეა მიქელაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის განხრით ისწავლის, სალომე ბოცვაძე 18 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის დაუფლებას შეუდგება. რაც შეეხება მარიამ ცაგურიასა და მარიამ დანელიას, ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფაკულტეტებზე ისწავლიან.

წარმატებული პირველკურსელები ასევე წარჩინებული მოსწავლეები იყვნენ. ამ კუთხით მე-3 საჯარო სკოლა ლიდერობს, რადგან 5-დან სამი _ მერაბ გეგეჭკორი, სალომე ბოცვაძე და მარიამ ცაგურია ამ საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები არიან და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, თანაკლასელები.

მე-11 საჯარო სკოლა ასახელა მარიამ დანელიამ. მე-9 საჯარო სკოლა სამართლიანად იამაყებს თეა მიქელაძით.

საერთო საგნები, რომლებიც მათ ჩააბარეს ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები და უცხო ენაა. განსხვავებული ჩააბარა ორმა _ მათემატიკა, ერთმა _ ბიოლოგია, ერთმა _ ისტორია, ერთმა _ გეოგრაფია და ლიტერატურა.

მათ შორის ყველაზე მაღალი, ქართულ ენასა და ლიტერატურაში 80 ქულიდან 78 სალომე ბოცვაძესა და თეა მიქელაძეს აქვს. ზოგად უნარებში 74 ქულით მარიამ დანელია ლიდერობს. უცხო ენაში უმაღლესი შეფასება 90-დან 88 ქულა სალომე ბოცვაძემ და თეა მიქელაძემ მიიღეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მე-11 სკოლელი მარიამ დანელია სამტრედიაში საუკეთესო მაჩვენებლით გამოირჩა. მათემატიკაში მან 59 ქულიდან 53 ქულა მიიღო და უპირობოდ გახდა იმ ინგლისურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ წელს გაიხსნა.



## განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცნობით

წელს 39 000 აბიტურიენტიდან 28 000-ზე მეტი სტუდენტი გახდა.

აქედან 1008 აბიტურიენტმა მოიპოვა 100 პროცენტიანი გრანტი, ხოლო 70 პროცენტიანი გრანტის მფლობელი 1457 აბიტურიენტი გახდა.



ვიმედოვნებთ, ისინი საფუძვლიანად, სიღრმისეულად დაეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს და ღირსეულ სიტყვას იტყვიან ჩვენი სამშობლოს აყვავების, ეკონომიკური ძლიერებისა და კეთილდღეობის საქმეში.

ის აბიტურიენტები კი, რომელთაც წელს, მიზეზთა გამო, ვერ აისრულეს ოცნება, ვერ გახდნენ სტუდენტები, ეჭვი არაა, მომავალ ზაფხულამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ და გაისად მათაც გულწრფელად მივულოცავთ სტუდენტობას.

ტყუილად როდი თქვა ბრძენმა წინაპარმა _ ''სწავლის ძირი მწარე არის''-ო.

ლევან გაბიჩავა

# პირველკლასელთა რიცხვის მატება ვაშლის დარიგებას ვერ შველის

**თეა ბაბუნაშვილი**

ასეთი დასაწყისი განათლების მინისტრის ახალი ინიციატივის ირგვლივ სოციალურ ქსელში დადებულ ხუმრობას, ამიერიდან სკოლებს კლასის დამრიგებელიც ეყოლებათ და ვაშლისაცო, ბევრის გულწრფელი ღიმილის გამო _ განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას ორიგინალური ინიციატივა სამტრედიაში არ ჭრის _ სკოლებს მხოლოდ კლასის დამრიგებლები ეყოლებათ, ვაშლისა არა, რადგან არც ერთ სკოლას მოსწავლე სავაშლე კონტინგენტი არ ჰყავს. სამტრედიის სინამდვილეში ყველაზე მრავალმოსწავლიანი მე-11 საჯარო სკოლაც კი ვერ მოხვდა ამ სიაში. მართალია, წითელ-ყვითელი ვაშლი არ გაგორდება სკოლის გზის მისაკვლევად, მაგრამ რამდენიმე დღეში სექტემბერი სკოლის ზარს რომ დარეკავს, სამტრედიის საჯარო სკოლები პირველკლასელთა მნიშვნელოვნად მომატებული რიცხობრიობით მიუსხდებიან სკოლის მერხებს. როგორც მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრში აცხადებენ, წელს 600-ზე მეტი პირველკლასელი შეაღებს სკოლის კარს. წინა წლებთან შედარებით ეს გაზრდილი რიცხვია. მაღალმთიანი ზონის იმ სოფლებშიც კი, სადაც წინა წლებში ერთი ან ორი მოსწავლე იწყებდა სკოლის პირველივე კლასში სწავლას, საიმედო მატება შეინიშნება.



როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი ელენე ბოხუა ამბობს, მათ ''ტრადიციისამებრ უფასოდ დაურიგდებათ პირველკლასელთათვის განკუთვნილი ბუქები და საჭირო წიგნები. რაიონის სკოლებში ყველა პირობაა შექმნილი როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საგანმანათლებლო კუთხით, სასავლო წლის შეუფერხებლად და წარმატებით დასაწყებად.''

რესურსცენტრის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ელზა ცხვირავაშვილი აკონკრეტებს, რომ გასული სასწავლო წელი 460-მა მოსწავლემ დაასრულა. აქედან, 47 ოქროს, 17 ვერცხლის მედალოსანი იყო. მუნიციპალიტეტს 62 შეზღუდული საჭიროების მქონე მოსწავლე ჰყავს. რაც შეეხება პირველკლასელებს, რადგან დარეგისტრირება ელექტრონულად ინდივიდუალურად ხდება, არ არის გამორიცხული 600-ზე გაცილებით მეტი იყოს. ზუსტი ციფრი რესურსცენტრისთვის სწავლის დაწყების პირველივე დღეებში გახდება ცნობილი.

და კიდევ ერთი სიახლე პირველკლასელებთან მიმართებაში _ განათლების მინისტრს ბიზნესმენმა შალვა თოდრიამ განცხადებით მიმართა, რომ აქვს სურვილი, საქართველოს მასშტაბით ყველა პირველკლასელს სწავლის დაწყების დღეები საჩუქრით გაულამაზოს. საჩუქარი ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყალი ''ბახმარო'', საბავშვო ხილის წვენი ''იპი'' და გაკვეთილების ცხრილი იქნება. შარშან მან ასეთი საჩუქარი დედაქალაქის ყველა პირველკლასელს გაუკეთა, წელს კი მასშტაბების გაზრდის სურვილი გამოთქვა და მთელ საქართველოს გადასწვდა. ბიზნესმენის მიერ პირველკლასელების დასაჩუქრების ინიციატივის ხორცშესხმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ცალკეული სკოლის დირექტორის გადაწყვეტილების პირისპირ დატოვა. თუ დირექტორი გადაწყვეტს, პირველკლასელები მიიღებენ ამ საჩუქარს, თუ არადა _ არა.

# ოთხი სამტრედიელი მოსწავლე კომაროვის სკოლელის სტატუსით

**ნათია ნაცვლიშვილი**

***სიამაყის საფუძველი აქვთ და ''სამტრედიის მაცნეს'' კარი თავდაჯერებულებმა შემოაღეს. მალე ცხოვრება ამ პატარა, მაგრამ წარმატებული ბიჭების წინაშე დიდ და საინტერესო პერსპექტივას გადაშლის. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მეათე საჯარო სკოლის მოსწავლეები ავთანდილ კორძაია, არჩილ ნიკოლეიშვილი, ირაკლი კერელეიშვილი და მეთერთმეტე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე გიორგი გაბეშია ახალ სასწავლო წელს საქართველოს დედაქალაქში, 199-ე ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მოსწავლეთა სტატუსით შეხვდებიან. ნიჭიერმა მოსწავლეებმა, შესაბამისი არცთუ იოლი კონკურსის გავლის შემდეგ, მოიპოვეს ამ სკოლაში სწავლის უფლება.***

ჩვენთან საუბარში მეათე სკოლის დირექტორმა, მაყვალა თევზაძემ აღნიშნა: ''როცა სამტრედიაში პირველ სკოლასთან არსებული კომაროვის სკოლა გაიხსნა, ჩვენი სკოლის რამდენიმე მოსწავლე მივიდა იქ სასწავლებლად და მათემატიკური ცოდნის გასაღრმავებლად. იქ სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ, დაასრულეს მეექვსე კლასი და მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, რომელმაც გამოავლინა ის მოსწავლეები, რომლებიც თბილისის ვლადიმერ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე სკოლაში ჩაირიცხნენ. საქართველოს მასშტაბით კონკურსში 612 მოსწავლე მონაწილეობდა, აქედან 48 ჩაირიცხა, მათ შორის არის ჩვენი სკოლის სამი მეშვიდეკლასელი: ავთანდილ კორძაია, არჩილ ნიკოლეიშვილი და ირაკლი კერელეიშვილი. როგორც სკოლის დირექტორს, ორმაგი განცდა მეუფლება: სიამაყისა და სინანულის, გვიხარია მათი ეს დიდი წარმატება და გვწყინს, ასეთი კარგი მოსწავლეები რომ გვტოვებენ. დავამატებ იმასაც, რომ 2016-17 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით ჩატარდა კონკურსი ''გახდი ოლიმპიელი'', რომელშიც ჩვენი სკოლიდან, რატომღაც, მხოლოდ არჩილ ნიკოლეიშვილმა მიიღო მონაწილეობა, ის საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ გამარჯვებულთა ათეულშია.''



არჩიკო ნიკოლეიშვილი: '' ეს არ იყო ძალიან რთული კონკურსი, ჩვენ სამივე ფრიადოსნები ვართ, მიხარია, რომ სწავლას სამივე ერთად გავაგრძელებთ, ჩვენი დამრიგებელი იყო ქალბატონი ქეთევან ახალაძე, შემდეგ მათემატიკას გვასწავლიდნენ ნინო ვაშაკიძე და მარინა დუნდუა, შაბათის სკოლაში კი ჩვენი პედაგოგი გოჩა გაბუნია იყო. უდიდეს მადლობას მოვახსენებ ჩვენს პედაგოგებს, ჩვენს წარმატებაში მათი დიდი წვლილია''.

ირაკლი კერელეიშვილი: ''გული მწყდება სკოლაზე და ჩემს მეგობრებზე, მაგრამ სწავლა უნდა გავაგრძელოთ და უფრო წარმატებულები ვიყოთ.''

ავთანდილ კორძაია: ''მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს პედაგოგებს და ვეცადოთ, მომავალში ვასახელოთ ჩვენი ქალაქი''.



''ულრმესი მადლობა მეათე სკოლის პედკოლექტივს, ამ პედაგოგთა დიდი წვლილია ჩვენი შვილების ამ წარმატებაში, ულრმესი მადლობა გოჩა გაბუნიას, წარმატებებს ვუსურვებ მათ და ასევე, ჩვენს შვილებს, რომლებიც ამიერიდან ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში განაგრძობენ ცოდნის მიღებას.'' _ განაცხადა ჩვენთან საუბარში მადონა ადეიშვილმა, ირაკლი კერელეიშვილის დედამ.

გიორგი გაბეშია, მეთერთმეტე საჯარო სკოლის მერვეკლასელი: '' სამტრედიის შაბათის სკოლაში'' 2016 წელს დავიწყე სწავლა, პარალელურად, მომზადება იმისათვის, რომ გამემარჯვებინა კონკურსში და მომეპოვებინა კომაროვის სკოლაში სწავლის უფლება. გავიმარჯვე კიდეც, კონკურსში საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდა ათასამდე მოსწავლე, სულ 127 ჩაირიცხა, საუკეთესო ხუთეულში მოვხვდი. ვარ ათოსანი მოსწავლე, ასევე ვარ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. მათემატიკა განსაკუთრებულად მიყვარს, ამიტომაც გადავწყვიტე კომაროვის სკოლაში სწავლის გაგრძელება. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემი სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლენა ხაჟალიას, ასევე, დაწყებითის პედაგოგს ეთერ სტურუას, მათემატიკის პედაგოგს, ქეთევან ტალაბაძეს, დამრიგებელს, ქეთევან კოკაიას, განსაკუთრებული მადლობა შაბათის სკოლის პედაგოგს, გოჩა გაბუნიას. მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მშობლებს, სოფიო ბოხუასა და მამია გაბეშიას, აგრეთვე ყველა ადამიანს, ვინც მხარდაჭერა გამიწია.'' დავსძენთ იმასაც, რომ გიორგი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოვებული, ის არის ქართულ ენასა და ლიტერატურაში სმარტის ოლ-



*"ბაღში ისევ
ტირიფების ლოდინია,
ხანგრძლივი და
უსასრულო ლოდინი...
ხეივნები მოდიან და მოტირიან,
ქარი მოდის და ხეივნებს მოსტირის..."*
**ანა კალანდაძე**

## "რა მშვენიერია გაფითრებული, ცარცისხსნარიან ქალაქში აყვავებული ხე"

## მოხალისეობრივი ძალა ამ საქმეს ხერხემლად გამოადგება!

**შოთა ჰაჰავა**

*კოლეგის წარმატების შესახებ სიხარულით გვითხრა ფილოლოგმა ლია ნიკურაძემ: საინტერესო იდეებს შორის გამოურჩევიათ მე-11 საჯარო სკოლელთა პროექტი, მოპოვებული გრანტით დიდი ხნის ჩანაფიქრს განახორციელებს მაია ლორიაო...*

*დავინტერესდით და ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის სასიამოვნო ცნობად მისაწოდებელ მასალას ჩავჭიდეთ ხელი. "კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) პარტნიორმა პროგრამამ "ორბელიანი საქართველო" 1500 ლარით დააფინანსა სამტრედიის დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციისთვის ჩასატარებელი არაერთი სამუშაო.*

*სურვილი _ დასავიწყებლად გამეტებული ადგილისთვის ახალი სიცოცხლე მიენიჭებინა, მოულოდნელი არ ყოფილა ადამიანისგან, რომელიც სიტყვიერებასთან ერთად გაკვეთილთა ცხრილში აუსახავ საგანს, "მიუტევნეთ კაცად-კაცადმან მოყუასსა თჳსსა", ისწავლება _ "სთესავს თესლს კეთილს" და მოწაფეთ უშურველად უბოძებს ყველაფერს, დაწყებული "სულის პურით" _ დამთავრებული ზოგჯერ "პურით არსობისა"... უკანასკნელი სათვალავში ჩაუგდებლად გაიცემა, პირველისგან კი _ სულიერი საზრდოსგან _ მოძღვრის მზერა საზღაურ-სარგებელს მოელის; ცხადია, იმასაც არა თავისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.*

*ასეა ამჯერადაც: _ მეიმედებოდნენ მოსწავლეები _ სამშობლოში სამშობლოს აღმოსაჩენად კვლავ შევეხიდებოდით ერთმანეთს, ეჭვი არ მეპარებოდაო, _ საუბარი დაიწყო ქალბატონმა მაიამ.*

"1978 წელს სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობამ 3,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოუყო ვლადიმერ კახიანს. კაცს, რომელმაც სხვადასხვა პოსტზე მუშაობის შემდეგ უარი განაცხადა თანამდებობაზე და ბუნების დაცვის სამსახურში უბრალო გუშაგად დარჩენა ირჩია. მან მალე, როგორც იტყვიან, შეუძლებელი შეძლო: საქართველოს კუთხეებიდან, მაშინდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შეაგროვა 400-ზე მეტი ძვირფასი ნერგი და ერთ დროს ეკალბარდით დაფარული ადგილი ეგზოტიკური სახეობის მცენარეულობით ბაღნარად, ფაქტობრივად, დენდროლოგიურ პარკად აქცია.

ბოლო ათი წელიწადია, იქაურობა გაუდაბურებულია, თუმცა შენარჩუნებულია მისი ძირითადი იერსახე. დღემდე დაცული და შენახულია უნიკალური ჯიშის (მათ შორის, წითელ წიგნში შეტანილი) ხეები: ორღალანი, საპნის ხე, წაბლის 15 განსხვავებული ჯიში, აკაკის ხე, ჭაობის კვიპაროსი, წითელი თხილი, იაპონური ნეკერჩხალი, ვერცხლისფერი ფიჭვი, "დგანან სექვოიის და ბებერი მუხის ძველი გიგანტები, ცაა ქრიზანთემის, ზღვაა ქრიზანთემის, მზეა ქრიზანთემის"... ტერიტორია შემოსაზღვრულია ცოცხალი ღობით (600-ზე მეტი ალვის ხით), რომელიც ქარსაცავის ფუნქციასაც იძენს. მცირე საველე ექსპერიმენტების ჩასატარებლად, სასწავლო ექსკურსიების მოსაწყობად აუცილებელი პარკის აღდგენის შემთხვევაში ახალგაზრდებს ჩამოუყალიბდებათ ბუნებასთან ურთიერთობის უნარი, ეკოლოგიური კულტურა, ჩვევა ურთიერთთანამშრომლობით პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისა, გააცნობიერებენ, რამდენად საჭიროა ყოველი ადამიანის პატრიოტიზმი ქვეყნის წარმატებისთვის. _ გვიხსნის პედაგოგი, თან მადლიერებით აღნიშნავს: _ მე-11 საჯარო სკოლელ "ხეთა მონაღვლეებს", ქეთევან კახაძეს, ხატია ზამთარაძეს, მადლენა თოფურიას, ეკოკლუბელ მოსწავლეებს, თანადგომა პროექტის წერის დაწყებიდანვე გვქონდა დირექტორ ლენა ხაჟალიასაგან, მხარში ამოგვიდგნენ ქალბატონები: ნანა მანჯგალაძე, მარინა ქართველიშვილი, ბატონი ვალერი კახიანი... დანაპირები _ შესაძლებლობის ფარგლებში თანამონაწილეობა, ადგილობრივმა ხელისუფლებამაც აასრულა, შესაბამისმა სამსახურმა ვალდებულება აიღო, დაიცვას მატერიალური ტექნიკა და რეაბილიტირებული პარკი. პირველ ყოვლისა, დადებითი ეპითეტების ადრესატად "ორბელიანი საქართველოს" თავდადებული ორგანიზატორები გვესახებიან, ისინი ჭეშმარიტად საქვეყნოდ მუშაკობენ."

გამარჯვებული იდეის სარგო 1500 ლარი უკვე განაწილებულია: დაზიანებული ღობის შესაკეთებლად 300-მეტრიანი მავთულბადის, მოსაწესრიგებელი მიდამოების გასასუფთავებლად ბალახის საჭრელის, ხის, მეტალის ნაკეთობების შესაღებად ლაქ-საღებავების შესაძენად და დაავადებული ხეების მოსაჭრელად. სათემო ჩართულობის მიზნით საქმის კურსშია ახლომდებარე სკოლის წარმომადგენელი. წინასწარი ფიქრით, დეკემბრის პირზე შემფასებელ-დამთვალიერებელს დაელოდება ხელახლა სულჩადგმული დენდროლოგიური პარკი...

"საბოლოობჭეო" სიტყვად ქალბატონი მაია დასძენს: "ივლისში პროექტის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ სოციალურ ქსელში ჩემ მიერ ფოტომასალის გავრცელებისა და ინფორმაციის მიწოდების შედეგად გუნდის ყველა წევრმა, და არა მხოლოდ მათ, სრულად შეიტყვეს იმ გეგმების შესახებ, რომლებიც ჩვენ მიერ განსახორციელებელ აქტივობებს მოიცავს.

პირველ სექტემბერს მე-11 საჯარო სკოლამ უმასპინძლა საინფორმაციო შეხვედრას, რომელსაც სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად სკოლის დირექტორი ესწრებოდა. გადავწყვიტეთ, დამხმარე ძალის მოსაზიდად ეკოკლუბელებმა (სკოლის ან კლუბისლოგოიანი საგანგებოდ შეკერილი მაისურებით) მოაწყონ მსვლელობა საზოგადოების ინფორმირებისათვის. მოხალისეობრივი ძალა ამ საქმეს ხერხემლად გამოადგება.

ამაო გარჯისაგან ამთავითვე დაზღვეულნი ვართ... რადგან ტერიტორია მდებარეობს ცხენისწყლის ნაპირას, აჩენს ეკოტურიზმის განვითარების ახალ პერსპექტივას. მაშასადამე, სავარაუდებელია ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, აღდგება, მსურველთათვის ხელმისაწვდომი გახდება მიკროსანერგე მეურნეობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისი: რეალურად ე. წ. ჟანგბადის რეზერვუარის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა შეძლებს დასვენებას, ჯანსაღი ცხოვრების წესისთვის ფეხის აწყობას. ეს იქნება ერთგვარი ფილტვი ქალაქისათვის, რომელიც ურბანისტული პრობლემის წინაშე დგას, არახალი სავაივაგლახოს წინაშე!

განა, "მუხა საბურთალოს ბაზრის მოედანზე" სხვას რას ტკივილობდა გივი გეგეჭკორის ლექსში?!.. ანდა _ ბესიკ ხარანაულის "ატმის ხე ქარხნის ეზოში", ჟრჟოლას რომ ჰგვრის რკინა-ბეტონს... "გვიანაც, ქარხნის საყვირის შემდეგ, შინწასულ მუშებს იგი აცილებს, იგი აცილებს შაქრიან გზებზე, მათი ბავშვების საწოლებისკენ."

საზოგადოდ, სიმბოლური სემანტიკითაც საკრალურია ხე, რევაზ სირაძის დაკვირვებით, "ამქვეყნისა და ზეცის შემაერთებელი, როგორც ქრისტე და როგორც ეკლესია. მართალია, წარმართული წარმოდგენით, ხე იმგვარი სიცოცხლეა, რომელიც ვერ შორდება მიწას, მაგრამ იგი ყველაზე მეტად ნათელყოფს, რომ თვით მიწიერებაც კი ზეცისკენ მიისწრაფვის. ხე უშუალოდ გვაგრძნობინებს, რომ მიწაშიცაა ზეციერებისაკენ მიმსწრაფი იმპულსი".

ხეთა ფასი, ტყის ფასი, ამ სიტყვის უკეთესი გაგებით, უფრო მაღალი გააზრებით, როგორც დღევანდელობამ აჩვენა, ჯერაც სასწავლი გვქონია. დახანძრებული ივერიის თითოეულმა მკვიდრმა უნდა შევისმინოთ _ ზარების განგაშის ხმა ყურიდან კი არ სხლტებოდეს, უნდა გულამდე ატანდეს, რომ ადგილს პატრონი სჭირდება!"





იმპიადის გამარჯვებული, ნომინაციაში _"სპეციფიური აზროვნება". ასევე, კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის მეორე ადგილის მფლობელი.

მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორი, ლენა ხაჟალია: "გიორგი ძალიან აქტიური მოსწავლეა, არის საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მან თვითმმართველობის არჩევნებზე ძალიან საინტერესო პროგრამა წარმოადგინა, აქვს ყოველთვის ნოვატორული იდეები, მოიფიქრა და თანაკლასელებთან ერთად შეაგროვა მაკულატურა, თავადვე დაამზადა ფერადი ყუთები საამისოდ, ჩააბარეს მაკულატურა და აღებული თანხით ესტუმრნენ და გაუმასპინძლდნენ სათნოების სახლის ბინადართ. მისი მათემატიკის პედაგოგი ქეთევან ტალაბაძეა, მადლობა მას ასეთი კარგი მოსწავლის აღზრდისათვის."

კომაროვის სკოლასთან სამტრედიას განსაკუთრებული კავშირი აქვს, სკოლის დირექტორის მოადგილე, მალხაზ ჯინჭარაძე სამტრედიელია. სწორედ მისი ინიციატივა იყო წლების წინ ჩვენს ქალაქში შაბათის სკოლის დაფუძნება. მალხაზ ჯინჭარაძეს და კომაროვის სკოლის ხელმძღვანელობას ერთი იდეა ამოძრავებდათ: არ დაკარგულიყვნენ პერიფერიებში მცხოვრები განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭის მქონე ბავშვები. შაბათის სკოლის იდეამ გაამართლა კიდეც. პრესტიჟული სკოლა რეგიონებიდან ყოველწლიურად ახალ, ღირსეულ ნაკადს ღებულობს. ვინ იცის, ახლო მომავალში ამ ბიჭების უფრო დიდმასშტაბიან გამარჯვებებზე წერილის დაწერაც მომიწიოს.

**გალერეა**

# როცა შენი საქმე გიყვარს

**ლევან ბაბეჩავა**

***საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს ახსოვთ საფინანსო სისტემის დამსახურებული მუშაკი, ქალბატონი თინა ტკვაცირია, რომელიც ათეული წლების მანძილზე ემსახურა საყვარელ საქმეს.***

***ამჯერად რუბრიკაში "გალერეა" ქალბატონი თინას ძმისშვილი, უკვე თავად ღვაწლმოსილი ქალბატონი ენძელა ტკვაცირია-პატარიძე მოვიწვიეთ.***

საფინანსო ეკონომიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა საქალაქო საბჭოს აღმასკომში დავიწყე, როცა თავმჯდომარე ბატონი ოთარ ნაფეტვარიძე გახლდათო. _ გვიყვება ქალბატონი ენძელა და საოცარი სითბოთი საუბრობს იმ ადამიანთა შესახებ, სხვადასხვა წლებში მის პროფესიულ დახელოვნებას რომ შეუწყვეს ხელი.

ბევრნი, ბევრნი არიან ისინი: ციალა ნიკურაძე, მარგო, ტატიანა პაპავები, მერი კალაძე, ეთერ ბუაძე, მარგო შუბლაძე.

განსაკუთრებული სითბოთი ქალბატონი ენძელა ქალბატონ ზაირა გრიგოლიას შესახებ ჰყვება, რომელიც საქალაქო საბჭოს აღმასკომის ღერძი, უნარიანი ხელმძღვანელი მუშაკი გახლდათ.

სამადლობელს არც ბატონი ჟორა რევიშვილის მიმართ იშურებს, ჩემს ქორწილში თამადა ბატონი ჟორა იყოო, ამბობს და საოცარი სითბო ეღვრება მზერაში.

4 ათეული წელია, ჩვენი რესპონდენტი საყვარელ საქმეს ემსახურება.



იმუშავა მუნიციპალიტეტის გამგეობის ბუღალტერიაში, ამჟამად კი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის ბუღალტერია.

კარგად იცნობდნენ სამტრედიელები ჩვენი რესპონდენტის მეუღლეს, ნუგზარ პატარიძეს, რომელიც ერთხანს ადგილობრივ რადიოგადაცემთა კორესპონდენტ-ორგანიზატორი გახლდათ. დიდი ხანია, ბატონი ნუგზარი ამ ქვეყნად აღარაა, თუმცა მისი ხსოვნა კვლავ ცოცხლობს ახლობლებისა და კოლეგების, თანაქალაქელთა გულებში.

ორი შვილისა და ორი შვილიშვილის დედა და ბებიაა ქალბატონი ენძელა. უფროსი შვილიშვილი ლუკა ხუხუნაიშვილი აბიტურიენტია, უმცროსი ნუგოგაბრიელი წელს პირველად შეაღებს სკოლის კარს.

ვისარგებლებთ შემთხვევით და წარმატებებს ვუსურვებთ ლუკასა და ნუგოგაბრიელს სამომავლოდ.

მოსაგონებელი, გასახსენებელი ბევრი აქვს ქალბატონ ენძელას. კინოკადრივით გაირბინეს წლებმა. საოცარდ უყვარს თავისი საქმე, საკვირველი არაფერია ამაში.

დადის ჩვენს ქალაქში უპრეტენზიო ქალბატონი, გულით ახლობლების, მოყვასის სიყვარულს რომ თან დაატარებს.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარშიც ხშირად ნახავთ მაველრებელს, მამა ანტონის (ვაშაკიძე) მრევლი ვარო, სიამაყით გვითხრა. გაგვიმხილა, "სამტრედიის მაცნეს" ინტერესით რომ ეცნობა.

თავდაპირველად იუარა, ისეთი არაფერი გამიკეთებია, ჩემზე რომ დაწეროთო, თუმცა, საუბარი იმგვარად გავუბით, რომ...

სამსახურში მიიჩქარის ქალბატონი ენძელა, მყუდრო გარემო და ოჯახის წევრებივით ახლობელი და საყვარელი თანამშრომლები ელიან იქ.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებთ ღვაწლმოსილ ქალბატონს.

# იზოლდა ვაჩეიშვილი _ სწავლის დაწყებას გილოცავთ!

**ლევან გაბეჩავა**

***დღეებიღა გვაშორებს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.***

***უკან დარჩა ხალისიანი ცხელი ზაფხული. კიდევ ერთი წლით დაბრძენებული გოგო-ბიჭებით აივსება საკლასო ოთახები, აჟრიამულდება გარემო.***

***ჩვენი რესპონდენტი, ამჯერად, ივანე ჯაშის სახელობის სოფელ ჭოგნარის სკოლის დირექტორი, ქალბატონი იზოლდა ვაჩეიშვილია.***

***42 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ქალბატონი 26 წელია, სკოლის დირექტორია, ამდენად, არაა გასაკვირი სასაუბრო ბევრი რომ ჰქონდეს.***

მეუღლე ინჟინერია, სამი შვილისა და 4 შვილიშვილის დედა და ბებიაა აღსაზრდელებზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალბატონი.

_ იყო დრო, როცა სკოლაში 80-მდე ბავშვი სწავლობდა, თუმცა, მიგრაციამ, რომელიც საქართველოს ყველა მაღალმთიანი სოფლისთვისაა დამახასიათებელი, მეტ-ნაკლებად ჩვენს სოფელზე, სკოლის კონტინგენტზეც იმოქმედა და ამჟამად სკოლაში მხოლოდ 24 ბავშვი გვყავს. პირველ კლასში წელს ერთ ბავშვს ველოდებით. _ სინანულით აღნიშნა ქალბატონმა იზოლდამ.

ტიპური სასკოლო შენობა შარშან გადაიხურა, როგორც დირექტორისაგან შევიტყვეთ, სკოლაში არის საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა, მდიდარი სასკოლო ბიბლიოთეკა, სათანადო დონეზე აღჭურვილი კლასკაბინეტები და ლაბორატორიები, მაღალკვალიფიციური პედაგოგები მუშაობენ ჩვენთანო, დირექტორმა და დასძინა, რომ სკოლის მოსწავლეები ყოველთვის არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობებში.

გული სტკივა დირექტორს, ბევრის გაკეთება რომაა შესაძლებელი და ამაში მოსწავლეთა მცირეკონტინგენტი რომ უშლის ხელს.

სოფლისა და თანასოფლელების ცხოვრებით, ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს სკოლის დირექტორი და არ გაგვკვირვებია, სოფელში არსებული საერთო სურათიც რომ წარმოგვიდგინა.

როგორც მოგახსენეთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელია ჭოგნარი. მიგრაცია ავი ნაგაზივით ავად ემუქრება სოფელს. წინა წლებთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესდა ვითარება, თუმცა, სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ნაწილობრივ, ისევ პრობლემად რჩებაო, ჩვენმა რესპონდენტმა. გზები კეთილმოწყობილია, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას უჩივიან ჭოგნარლები.

საჯავახოს ამბულატორია სამ სოფელს, მათ შორის ჭოგნარსაც ემსახურება. ექიმი, ქალბატონი ცისანა თოდუა კვალიფიციურ მომსახურებას უწევს თანასოფლელებს.

ფორმაციათა ცვალებადობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ღირებულებათა გადაფასებაც გამოიწვია, მაგრამ როგორც ჩვენი რესპონდენტი მიიჩნევს, და ყოველმხრივ სამართლიანადაც, დროს ფეხი უნდა ავუწყოთ, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ტრადიციების, კულტურის, იდენტობის შენარჩუნებით.

პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორისაც უფრო გახსნილი, უშუალო კომუნიკაცია უნდა არსებობდეს, ოღონდ ზღვარდაცული. _ დასძენს ქალბატონი იზო, რომელიც ისტორიკოსია და რასაკვირველია, ყველაზე მეტად საკუთარი სამშობლოს სიყვარულის, ისტორიის, გმირული წარსულის შესწავლისა და დაფასებისაკენ რომ მოუწოდებს აღსაზრდელებს.

საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა განათლების სისტემის ამაგდარი ქალბატონი იზოლდა ვაჩეიშვილი.



"სამტრედიის მაცნეს" საშუალებით ნება მომეცით, ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო მოსწავლე-ახალგაზრდობას, პედაგოგებს, წარმატებები ვუსურვო მათ სწავლასა და კეთილშობილურ საქმიანობაში! _ ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ამჯერად ქალბატონი იზოლდა.

ცოტაც და, საუკუნეზე უხნესი ჭოგნარის სკოლის ზარიც სკოლისაკენ მოუხმობს ჭოგნარელ ახალგაზრდებს.

წარმატებებს ვუსურვებთ მათ, მათზე მზრუნველ პედაგოგებს!

*<u>სურათზე: იზოლდა ვაჩეიშვილი (მარჯვნიდან მეორე) კოლეგებთან და მოსწავლეებთან.</u>*

# თეთრი ფურცლიდან ვკენკეთ მარცვლები ჭეშმარიტების



ქალაქის მეორე საშუალო სკოლა დაფუძნებიდან ათწლეულებს ითვლის. იგი 1970 წელს გაიხსნა. ამ სკოლის გახსნამდე ქალაქის №1 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ეს ის პერიოდია, როცა თითებს თხუპნიდა ლურჯი მელანი. მე-2 სკოლაში რომ გადავედი უკვე მესამეკლასელი ვიყავი. სიყვარულით ვიხსენებ პირველი კლასის მასწავლებელს, აწ გარდაცვლილ, საამაყო და დაუვიწყარ ქალბატონს თამარა ცაგარეიშვილს, ვინც "დედა ენა" შეგვაყვარა. მან დედობრივი ამაგი დაგვდო და ცოდნის ლაბირინთებში გზა პირველმა გაგვიკვალა.

მესამე კლასში მერხებს 44 მოსწავლე ვუსხედით, ჩვენი დამრიგებელი ქალბატონი ნათელა ჯიმშელეიშვილი გახლდათ. ახალი სასწავლო წლის მოახლოებამ წარსული გამახსენა და სურვილი გამიჩნდა, მადლიერება გამომეთქვა ჩემი ნათელა მასწავლებლის მიმართ. იგი "სამტრედიის მაცნეს" ხშირი სტუმარია და რედაქციაში მისვლამდე ყოველთვის შემომივლის. ქალბატონი ნათელა მე-2 საშუალო სკოლის გახსნიდან დღემდე ამ სკოლაში ასწავლის. ის არის პედაგოგი _ ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, წარმატებული, ენერგიული, მოსიყვარულე, გამობრძმედილი და უცვლელი. მის ნათელ გონებას წლები ვერას აკლებს. სასიამოვნოა, რომ მასთან აღმოჩნდა სამახსოვრო სურათი, რომელიც ჩვენი წარსულის მატიანეა, მასზე 1970-1971 სასწავლო წლის ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის დამრიგებელი ნათელა მასწავლებელი მე-3 კლასთან ერთადაა ასახული.

სკოლის დირექტორი, აწ გარდაცვლილი ბატონი გრიშა კოპალეიშვილი, დისციპლინითა და წესრიგით იყო გამორჩეული. ის თითოეული მოსწავლის მორიდებასა და პატივისცემას იმსახურებდა. დიდი სიყვარულით ვიხსენებ წარმატებულ პედაგოგებს: მზია კირთაძეს, ცუცა თევზაძეს, ნანი ნიშნიანიძეს, გულივერ მესხს, ჯუმბერ ლაგაძეს, ლეილა კუბლაშვილს, აწ გარდაცვლილებს: ეთერ თევზაძეს, ცისანა ქუნთელიას, მამია ლორთქიფანიძეს... მათი ესოდენ დიდი დამსახურებაა, რომ მისხალ-მისხალ, თეთრი ფურცლიდან ვკენკეთ მარცვლები ჭეშმარიტების.

დიდი მადლობა, ძვირფასო პედაგოგებო, რომ არსებობთ და სამყაროს ალამაზებთ!

*<u>ნატო მელია-მიქაძე</u>*

*<u>საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო _ სამტრედიის არქივის წარმომადგენელი</u>*

# "უკან აღარ მიმყვებოდა, დავრჩებიო, სახლამდე გააგრძელა ტირილი"

**ნინო ნანიტაშვილი**

1-ლ სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბაგა-ბაღი "დიგა". ახალი საალმზრდელო დაწესებულება სადღესასწაულო გასართობი ცენტრის ბაზაზე შეიქმნა. საბავშვო ბაღის დამფუძნებლის, ქეთევან პაპავას გადაწყვეტილებით "დიგას" აღსაზრდელებს დაბადების დღეს ცენტრში საჩუქრად გადაუხდიან.

ახალი კერძო დაწესებულება მშობლებისათვის იმდენად გახდა მიმზიდველი, რამდენადაც ბაღი განთავსებულია მე-2 სართულზე, აქვს დიდი აივანი, სადაც ყოველი დღე აერობიკით იწყება.

საბავშვო ბაღ "დიგას" აქვს მოზრდილი და უმშვენიერესი ეზო, სადაც უახლოეს დღეებში პატარებისათვის უსაყვარლეს ატრაქციონებს დაამონტაჟებენ.

კერძო ბაღის დამფუძნებელმა, ქეთევან პაპავამ დირექტორის პოზიციაზე პროფესიით პედაგოგი, მადონა ნიკურაძე შეარჩია. იქ პატარების აღზრდას უზრუნველყოფენ თამარ ვაშაკიძე და ია შარაშენიძე.

პირველ სექტემბერს "სამტრედიის მაცნე" საბავშვო ბაღ "დიგას" საზეიმო



გახსნის მონაწილე იყო, სადაც ამჟამად 10 აღსაზრდელი ირიცხება.

პატარების ასაკი 3 წლიდან იწყება. "დიგას" ექსტერიერმა, ინტერიერმა და პერსონალმა დიდებზეც და პატარებზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ახალი კერძო ბაღი დილის 9 საათიდან დაიწყებს და 19 საათამდე გააგრძელებს მუშაობას.

მადონა ნიკურაძე, საბავშვო ბაღის "დიგას", ხელმძღვანელი: "გადაწყვეტილება მივიღე იმის გამო, რომ ბავშვები მიყვარს ძალიან, დიდ სიამოვნებას მანიჭებს მათთან ურთიერთობა. 20 წელზე მეტია, მათთან მუშაობის გამოცდილება გამაჩნია. ჩვენს ახალ ბაღს სუფთა და ნათელი ოთახები, 4-ჯერადი კვება, სხვადასხვა საგანმანათლებლო და განმავითარებელი აქტივობები, საინტერესო, სახალისო და უსაფრთხო გარემო აქვს. ერთ-ერთი ხიბლია ჩვენი აღსაზრდელებისთვის სადღესასწაულო ცენტრი, "დიგა" რომელიც მათ დაუვიწყარ დაბადების დღეს გადაუხდის. გვყავს კვალიფიციური პედაგოგები. ასაკის შესაბამისია ჩვენი პროგრამა: ლიტერატურა _ მხიარული ანბანი, ზღაპრული სამყარო, სახალისო მათემატიკური ვარჯიშები, ბუნება და გარე სამყარო, ინგლისური და ჭადრაკი. რაც მთავარია ჩემთვის, კერძო ბაღის სათავეში დგას ყველა სამტრედიელისათვის საყვარელი და ავტორიტეტული პიროვნება ქეთევან პაპავა, რომელთანაც ერთობლივი მუშაობა ჩემთვის არის დიდი კომფორტი".

"სამტრედიის მაცნემ" იმ დღეს პედაგოგთან, თამარ ვაშაკიძესთან გასაუბრება მოახერხა: "ძალიან კარგი განწყობა მაქვს, რადგან არაჩვეულებრივი სამუშაო პირობებია შექმნილი. მოვიდა არაჩვეულებრივი ნაკადი, უსაყვარლესი და უჭკვიანესი პატარები, რომლებიც მაქსიმალურად ითხოვენ ჩვენგან, პედაგოგებისაგან არა მარტო მზრუნველობას, არამედ სხვადასხვა სახის აქტივობებს. მჯერა, რომ ჩვენი კერძო ბაღის სახით სამტრედიაში ერთ-ერთი საუკეთესო საალმზრდელო დაწესებულება იფუნქციონირებს".



ია შარაშენიძე სადღესასწაულო გასართობ ცენტრ "დიგას" თანამშრომელიცაა. ბაღში მან ძიძის პოზიცია შეითავსა: " დიდი ენთუზიაზმით შევხვდი საბავშვო ბაღის გახსნის იდეას, რადგან აქ არის ყველანაირი პირობა შექმნილი, საბავშვო დაწესებულებამ იფუნქციონიროს. "დიგა" ჩემი მეორე სახლია, სადაც დღის ყველაზე დიდ დროს სიამოვნებით ვატარებ".

ანდრია და ნიკოლოზ ფანცულაიების ბებია, ლალი ხოფერია სამტრედიაში, რაზმაძის ქუჩაზე ცხოვრობს. ახალგახსნილ ბაღში მან უყოყმანოდ მიიყვანა თავისი შვილიშვილები: "თავიდან აქ გასართობი ცენტრი იყო გახსნილი, კარგად ვიცნობდი ქალბატონ ქეთევანს, დადებითი შეფასებები მესმოდა გასართობი ცენტრის შესახებ. როცა შევიტყვე, საბავშვო ბაღი გაიხსნაო, მოვედი, ვნახე პირობები, ვესაუბრე აქ მომუშავე ადამიანებს, მასწავლებლებს, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. იმედია, გაამართლებს ბაღი თავის დანიშნულებას. ვიდრე გაიხსნებოდა, პატარა, 4 წლის ნიკოლოზი რომ მოვიყვანე, უკან აღარ მიმყვებოდა, აქ დავრჩებიო, სახლამდე გააგრძელა ტირილი".

ჩვენები

# "უმაღლესი ღირებულებების მიხედვით უნდა მოხდეს ყოველივეს აღქმა"

ქეთევან ჭელიძე

***ჩვენი გაცნობა იმ თხელყდიანი წიგნის მეშვეობით შედგა, ახლა რომ ჩემს მაგიდაზე დევს და რომლის გარეკანზე გამოსახული ლამაზი ქალი მეტყველი თვალებით შემომცქერის.***

***პორტრეტი სტუდენტს ეკუთვნის, რომელსაც წლების წინ თავისი ახალგაზრდა ლექტორი ერთი ხელის მოსმით დაუხატავს.***

***_ წაიკითხე, მოგეწონება, ძალიან კარგი ქალბატონის დაწერილია, თანაც, სამტრედიელის. _ მირჩია ერთმა ინტელექტუალმა ახლობელმა, შალვა ფაჩუაშვილმა...***

***"გაქვავებული წამი, შეჩერებული წამი, გონიერი ზომიერება _ ეს არის ხელოვნება." _ წერს გულიკო გაგუა და ერთ წიგნად აკინძული მისი პატარ-პატარა ნოველებიც ღვთიური ხელოვნების უიშვიათეს ნიმუშს _ ადამიანს მრავალფეროვან რაკურსში წარმოგვიდგენს.***

***სიცოცხლის პოეზია სიყვარულიაო, ამბობს ავტორი და მთელი მისი არსებობაც ამ უმაღლეს ღირებულებას ემყარება.***

***ფილოსოფოსი გულიკო გაგუა ჩვენი გაზეთის განახლებული რუბრიკის, "ჩვენების" სტუმარია.***

წარმოშობით იგი სოფელ ნიგორზღვიდანაა. წარჩინებული მოსწავლე ჯერ კიდევ საჯავახოს საშუალო სკოლაში ბევრ სხვა მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად ძველბერძნულ ფილოსოფიასაც კითხულობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც წარმატებით ჩაირიცხა ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა და იქვე, ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე ესთეტიკის კათედრაზე დატოვეს. 30 წელი ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. არასდროს დაავიწყდება მის მიერ წაკითხული პირველი ლექციით გამოწვეული მღელვარება. დღესაც ღიმილს ჰგვრის სხვის ნაცვლად სიყვარულის თემაზე წაკითხული ლექციის შემდეგ სტუდენტები თავიანთ ლექტორს აუდიტორიაში "არ უშვებდნენ", ის ახალგაზრდა ლექტორი სად არის, ლექცია იმან წაგვიკითხოსო.

გალაკტიონის, მუხრანის, მურმანის, ანას პოეზიაზე შეყვარებული ქალბატონი, რომელიც "ვეფხისტყაოსანს" გალექსილ სახარებას უწოდებს, შემოქმედებით საღამოებს ხშირად მართავდა უნივერსიტეტში. ერთ-ერთი თავისი სტუდენტის, ბაჩუკი ჩაბრაძის, შემოქმედებას მიუძღვნა. "ბაჩუკიმ მაშინ საკუთარი ლექსების კრებული მისახსოვრა. საღამოზე თვითონ კითხულობდა ლექსებს. თავიდანვე ეტყობოდა ნიჭიერება. დღემდე თვალყურს ვადევნებ მის მოღვაწეობას." _ გვეუბნება ქალბატონი გულიკო. დისერტაცია მან კათარზისის ფენომენს მიუძღვნა. ხელოვნების ზემოქმედება ადამიანზე გახლდათ მისი თემა. ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიაში, ესთეტიკაში, ეთიკაში, კულტუროლოგიაში. პარალელურად მინიატურულ პროზას ქმნიდა.

2006 წელს, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტში რეორგანიზაციის შედეგად კათედრა დაიხურა და ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიმართულება გახდა, ქალბატონმა გულიკომ ბევრ სხვა მეცნიერთან ერთად უნივერსიტეტი დატოვა. ამჟამად ჩვენი რესპონდენტი გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტში ასწავლის ფილოსოფიას, ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდების დამკვირვებელია.

მეცნიერი ქალბატონი ღირსეული ოჯახის დედაა, იმ სახლის დიასახლისი, სადაც ხელოვნებას ხარკს განსაკუთრებულად უხდიან. მეუღლე, გივი კანდელაკი, ინჟინერ-ეკონომისტია და თვითნასწავლი მხატვარი. იგი ჭედურობითაა გატაცებული. ქალიშვილი მარიამ კანდელაკი პროფესიონალი მხატვარია, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი და შემდეგ სამხატვრო აკადემია. "გია ბუღაძის კლასში იყო. ეუბნებოდა, შენ გაქვს ის, რისი სწავლაც არ შეიძლებაო, ფერის თანდაყოლილი შეგრძნება. როცა მარიამმა აკადემია დაამთავრა, მაშინ ერთხმად აღნიშნეს, რომ ის უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო. კარგ პეიზაჟებს ხატავს, ნებისმიერ თემატიკაზე მუშაობს, გამოფენებში მონაწილეობს. პერსონალურ გამოფენას კი, როგორც დისერტაციის დაცვას, ისე უდგება და არ ჩქარობს." _ სიამოვნებით გვიყვება დედა მარიამის შესახებ და დასძენს, რომ მხატვრობის უნარი გენეტიკურია მათთვის, ისინი დიდი ნიკოლოზ კანდელაკის ნათესავები არიან.

ქალბატონი გულიკოს ვაჟი, ბესიკ კანდელაკი, გლდანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელია, ხოლო სიძე ვაჟა ფირანიშვილი ტურიზმით არის დაკავებული. ბატონი ვაჟა ცნობილი მოქანდაკის, მერაბ ფირანიშვილის ვაჟია, რომელიც ამჟამად ყაზბეგში მოღვაწეობს და სულ ცოტა ხნის წინ მისმა ნამუშევრებმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მარიამ-


ბესიკ კანდელაკი

სა და ვაჟას ერთი 3 წლის ანა ჰყავთ.

"ადამიანში ღმერთი სხვადასხვა გზით შემოდის, _ განმარტავს მეცნიერი _ ჩვენ ვხედავთ, გვესმის და ვეხებით საგნებს, მაგრამ ეს არის ღმერთის ზედაპირული ხედვა. არსებობს უფრო სიღრმისეული გზებიც, როცა ადამიანი თავად ქმნის სიტყვის, ბგერისა და ფერის თამაშს. ეს არის შემოქმედება".

წიგნი "შეჩერებული წამი" თავისი ძმის, გულივერ გაგუას, ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ეძნელება ქალბატონ გულიკოს ძმაზე საუბარი, მაგრამ ეამაყება, რომ ნიგორზღვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი მისი თაოსნობით აშენდა. "ცდილობდა, ამაზე არ ელაპარაკა, ყოველთვის ჩრდილში იდგა. მან კიდევ სამი ხატი დააწერინა, წმინდა ფილიმონ მგალობლის (ქორიძე), რომელიც გამოჩინებულის ტაძარშია დასვენებული, ასევე, გაგუების საგვარეულო ღვთისმშობლის ხატი და წმინდა გიორგის ხატი რომელიც მარიამმა დაწერა, ნიგორზღვის ტაძარში ჩამოაბრძანა. გულივერმა გამოიკვლია ჩვენი და სამტრედიაში მდებარე სხვა ათი სოფლის ეკლესიის, ასევე, ჩვენი გვარის ისტორია. 2 წიგნი გამოსცა, კიდევ ჰქონდა მასალები გამოსაცემად მზად სამტრედიაში არსებული ეკლესიების შესახებ. იგი გაგუების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარეც იყო. კიდევ ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა!" _ სინანულს ვერ ფარავს ქალბატონი გულიკო.


გულიკო გაგუა

"ყოველი ჩემი მინიატურა არის ამ ყოფის, ცხოვრების, სატკივარისა და სიხარულის გამოხატულება. სიცოცხლე ხომ მშვენიერია და მოიცავს ყველა ამ მომენტს. _ წერს წიგნის წინასიტყვაობაში "შეჩერებული წამის" ავტორი. თითქოსდა, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ამბები მან ფურცელზე გადაიტანა და არაჩვეულებრივ მომენტებად აქცია. ფილოსოფოსმა ქალბატონმა საკუთარი "მე"-დან დაანახ-


გულივერ გაგუა

ვა მკითხველს, რომ ის, რაც, თითქოსდა, უმნიშვნელო, ნაკლებ ყურადსაღებია, ინდივიდის პიროვნულობის განმსაზღვრელი და მთლიანობაში ცხოვრებისეულია.

მინიატურული მოთხრობების შემქმნელი მუდმივად ადამიანის ძიებაშია.

"ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულია. პირველი მეცნიერება იყო დედამიწაზე. ცოდნა რომ დაგროვდა სხვადასხვა დარგში, მერე მოხდა მისი დიფერენციაცია. _ გვიხსნის იგი. _ სიბრძნისმოყვარედ ითვლებოდა ადამიანი, რომელიც დაინტერესებული იყო, კითხვა რომ გაუჩნდებოდა, პასუხი გაეცა მისთვის. ასეთ ადამიანს უწოდებდნენ ფილოსოფოსს.

**_ ცხადია, ფილოსოფოსი უფრო ღრმად აღიქვამს ყოფიერებას და ცნობიერების გადმოსახედიდან, ალბათ, ყველაფერი უფრო რთულად მისაღებია მისთვის, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში ხდება.**

_ პირიქით, როცა ღმერთი გწამს, როცა სილამაზის გწამს, ჭეშმარიტებას ეძებ, სიკეთეს აკეთებ, ეს არის არის ცხოვრება, თორემ, ყოფითი პრობლემები, ასე თუ ისე, ლაგდება.

უმადური ადამიანი ძალიან ცოდვაა. ცხოვრებაში უმადურიც ბევრი შემხვედრია და მადლიერიც. ჩემი აზრით, მადლიერი გადასწონის, თვითონ სიტყვა "მადლობა" მადლისაგან მოდის. თუ შენ წყალობა გაქვს, მადლობა უნდა თქვა. და თუ არ ამბობ, ამპარტავანი, უმადური ადამიანი ხარ. მადლობელი უნდა იყო, კიდევ ერთი დღე რომ გაგითენდა. სხვათა შორის, ქართველების უმეტესობა ღვთისნიერია, სიყვარულით ცხოვრობს.

**_ თქვენი სადისერტაციო თემა ადამიანზე ხელოვნების ზეგავლენას ეხება. რა დაადასტურეთ, როგორ მოქმედებს იგი ჩვენზე?**

_ ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება განწმენდაა, ღირებულებითი ხედვაა. ხელოვანი ურთიერთობაში შემოდის პიროვნებასთან, სათქმელს ეუბნება და მერე უკეთესი ხდება ადამიანი. მასში არის ფართო სპექტრი და ყოველი კუთხით ხდება განწმენდა. წვრილმან ყოფით პრობლემებზე მაღლა დადგომა. უმაღლესი ღირებულებების მიხედვით უნდა მოხდეს ყოველივეს აღქმა. ის, რაც ჭეშმარიტება, სიკეთე, რწმენაა, ამ იდეალებს უნდა ვემსახუროთ. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. უკეთეს მომავალს ვხედავ. ოპტიმისტი ვარ.

ხელოვნების ყველა დარგი მიყვარს, ვისაც არ უყვარს, მეცოდება, დიდი რამ აკლდება მას. ხელოვნებასთან ურთიერთობას არ უნდა დიდი ფული, მას დანახვა უნდა. მზის ამოსვლა უნდა დაინახო, მზის ჩასვლაც, ამის სურვილი უნდა გქონდეს, რაღაც ლამაზი შეიგრძნო, სრულყოფილებისკენ გქონდეს მიდრეკილება.

**_ თემა, რომელზეც ფილოსოფოსი გულიკო გაგუა ყველაზე მეტად ფიქრობს?**

_ ეს სიკვდილ-სიცოცხლეა, მარადიული თემა. რელიგიაში იგი სხვანაირად ისწავლება, ფილოსოფიაში _ სხვანაირად, მაგრამ სადღაც მაინც კვეთენ ერთმანეთს. წუთია ამ უსასრულობაში, ორმოცდაათ თუ ას წელიწადს იცხოვრებ, მხოლოდ გაელვებაა, ამიტომ კვალი უნდა დატოვო. ერთი ნოველა მაქვს რეალურ ამბავზე: იყო ადამიანი, რომელმაც სხვისი შვილების აღზრდა ითავა, პედაგოგი იყო, საკუთარი შვილი არ გაუზრდია, მიატოვა ისიც, ცოლიც, მამაც და სხვას უკითხავდა მორალს. უსიყვარულო ადამიანი იყო, არც კვალი დატოვა და არც ნათელი.

**_ სიყვარულის ფილოსოფიურ განმარტებაზე რას გვეტყოდით?**

_ არის ასეთი ფილოსოფოსი, ერიხ ფრომი, რომელიც სიყვარულის სხვადასხვა სახეს განსაზღვრავს: დედაშვილურს, მამაშვილურს, და-ძმის, ქალისა და კაცის. კარგი განმარტება აქვს ფრომი ამბობს, რომ დედაშვილური სიყვარული ყველაზე უანგაროა, უპირობო. დანარჩენი უნდა დაიმსახურო, მათ შორის, მამის სიყვარული. თუ არ ხარ კარგი, მამა არ შეგიყვარებს. ვფიქრობ მამა ფრომთან უფალია, ხოლო როცა წარდგები მის წინაშე, დანაშაულს არ გაპატიებს.

ქალისა და კაცის სიყვარული, მუხლის მოდრეკაა ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის წინაშე. აღტაცების შეგრძნება, რომ შენ აღმოაჩინე ის, რომლის წინაშე 'მუხლის მოდრეკა მოგინდა. ე. ი. ის ადამიანი შენთვის არის, როგორც პიროვნება, ის არის შენთვის ყველაფერი, განსხვავებულია და ორიგინალურია. უცნაურია და ამაზე პასუხი არ არსებობს, რატომ უყვარდება ადამიანს ერთი და არა _ მეორე. ვეთანხმები რინკეს, რომ სიყვარული არის სულის სულთან შეხვედრა. სიყვარული სრულყოფილია მაშინ, როცა ხორციელ და სულიერ მთლიანობაშია. მაგრამ სულიერი მაინც წინა პლანზეა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მხოლოდ ოთხი წამია საკმარისი, მიხვდე, იქნები თუ არა გულგრილი ადამიანის მიმართ.

**_ ჩვეულებრივ, ადამიანურ ურთიერთობებშიც ინტუიცია, ვფიქრობ, არ ტყუის...**

_ პირველი შთაბეჭდილება არსებობს. ასეთი შემთხვევა მქონდა: ინტუიცია მკარნახობდა, რომ ის პიროვნება არ იყო კარგი, მაგრამ მერე ვთქვი, რომ ვცდებოდი. თუმცა, საბოლოოდ სწორი მაინც ჩემი ინტუიცია გამოდგა.


მარიამ კანდელაკი

საერთოდ, მთავარია, ადამიანს სიყვარულით მიუდგე. მე სულ ვკითხულობ ჩემს მეზობლებს, მეგობრებს, ახლობლებს. შეიძლება, მათ არ მომიკითხონ, მაგრამ მე სულ ასე ვაკეთებ. შეიძლება ითქვას, ჩემმა ქმედებამ შედეგი მაინც გამოიღო. ადამიანს ადამიანის იმედი უნდა ჰქონდეს. სხვა შემთხვევაში რა აზრი აქვს ცხოვრებას.

**_ დრო რა არის?**

_ დრო აჩვენებს, რომ უკან არ დაბრუნდება. ადამიანმა ისეთი რამ არ უნდა გააკეთოს, ისტორიის ჩარხი უკან დაატრიალოს. იყო ჩვენს წინააღმდეგ მომართული რაღაც მექანიზმი, რომ ჩვენი ეროვნულობა დაკარგულიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია უკუქმედება და ბევრი ნიჭიერი ადამიანი მოდის ეროვნული თვითშეგნებით. ასე რომ, გადაშენება არ გვიწერია, რადგან სიყვარულზე დამყარებული ძლიერი გენეტიკა გვაქვს.

ქალბატონი გულიკო ხშირად სტუმრობს ნიგორზღვას და ეს წერილიც სამტრედიაში ჩვენი შეხვედრის შემდეგ დაიწერა. წინ ბევრი ჩანაფიქრი აქვს. გადაწყვიტა გამოსცეს მინიატურული პროზის მეორე ნაწილი, ასევე, წიგნად დაბეჭდოს თავისი დისერტაცია, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა გარკვეულ სამეცნიერო წრეებში. გამოსცეს აგრეთვე, თავისი სამეცნიერო ნაშრომები და ჩანახატები ახლობელ თუ მისთვის ნაცნობ, საინტერესო ადამიანებზე. დასძენს, რომ გეგმები აქვს და მთავარი ღვთის წყალობაა!

## პირბადის ქვეშ

# თანამედროვეობის ხმაურში ჩაკარგული მყუდროების შემოქმედი

**თეა ბაბუნაშვილი**

*ეს ის შემთხვევაა, ადამიანი ერთი შეხედვით რომ იცნობა და ისიც, ძალიან ძნელად რომ დაითანხმებ საუბარზე. საუბარზე საგაზეთოდ, თორემ, იმ სასიამოვნო ქალბატონთან ერთად, ამჯერად რომ მოვიწვიეთ რუბრიკაში, დრო ისე გავა, გაგრძელებულ სიტყვას ვერც კი შენიშნავთ. ამაში მკითხველი კითხვის დასრულების შემდეგ დამეთანხმება, თორემ მე მალევე მივხვდი, რომ ორთვიანი თხოვნა რუბრიკის სტუმარი გამხდარიყო, ლოდინად ღირდა.*

*და რატომ მარინა ბაღდავაძე? იმ პროფესიონალი და ღირსეული ქალბატონების გვერდით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში რომ არიან დასაქმებულნი, "აღმოვაჩინეთ" ადამიანი, რომლის ერთ-ერთი ღირსება, თანამედროვეობის ხმაურში ჩაკარგული მყუდროება და უბრალოებაა. საკუთარი მოთმინების ხარჯზეც, მაგრამ გართულებების გარეშე, ნათელი და ამასთანავე, სადა ფერებით მიიკვლევს გზას ცხოვრების ლაბირინთებში. მისი მოთმინება სიყვარულია და გასაწყვეტად გამზადებულ სიმს უფლისა და მოყვასის სიყვარულით ნასკვავს.*

*პატარა ქალაქში ბევრნი იცნობთ კიდეც ისეთს, როგორიც არის, წყნარს, უპრეტენზიოსა და ერთგულს. პირბადითაც და პირბადის მიღმაც, თითქმის მუდამ ჩრდილში მდგომი ამ ქალბატონის ნიშა მოკრძალებაა, მაგრამ ახლა უფრო გულღიად ვისაუბრეთ, ვიდრე სხვა დროს. ვისაუბრეთ არა მხოლოდ მასზე, მის პროფესიაზეც, რომელიც ძალიან უყვარს.*

*– ქართველების ხასიათის თავისებურებაა თუ თანამედროვეობის მოთხოვნილება, სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე უმაღლეს სასწავლებლებში მოთხოვნა თითქმის აღარ არის. მიზეზი, გამოკითხულთა*

*აზრით, მისი არაპრესტიჟულობაა. დაეტყო კიდეც ეს ამ სფეროს ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობით. ბოლო რამდენიმე წელია მოთხოვნილება რამდენადმე გაზარდა სახელმწიფოს მიერ დაწყებითი სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტზე სწავლის დაფინანსების საკუთარ თავზე აღებამ. თქვენ ამ დარგის სპეციალისტი ბრძანდებით და დამეთანხმებით, თუ რამდენად დიდი დანიშნულება აქვს სკოლამდელ განათლებას ბავშვის მომავალი განვითარებისთვის...*

– სკოლამდელი განათლება არის პირველი მარცვალი, პირველი საფეხური არა მხოლოდ განათლების მისაღებად, არამედ ბავშვისთვის სამყაროს აღსაქმელად. ჩვილი თვალის ახელის, ფეხის ადგმისთანავე იწყებს სამყაროს შეცნობას, საცხოვრებელი გარემოს, ბუნების მიხედვით მის ესთეტიკურ აღქმას. მე სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტის დამთავრებამდე გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო სასწავლებელი დავამთავრე, რომელიც უშუალოდ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს ზრდიდა. იქ ყველა საფეხურს გადიოდნენ ბაგის ასაკის აღსაზრდელებიდან სასკოლო ასაკამდე ბავშვებთან სამუშაოდ. ეს სასწავლებელი უშუალოდ ამ დარგის სპეციალისტებს უშვებდა. როგორც შემდეგ გავიგე, იგი რომელიღაც უმაღლესმა სასწავლებელმა შთანთქა და აღარ ფუნქციონირებდა. არა იმიტომ, რომ ამ დარგის სპეციალისტი ვარ, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ საბავშვო ბაღები და იქ მიღებული ჩვევები უპირველესია აღსაზრდელის განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, ოჯახისა და დედის, ზოგადად, აღმზრდელის ფუნქცია უმთავრესია, მაგრამ ბაგა-ბაღი ის ადგილია, სადაც ფუნდამენტი ეყრება არა მხოლოდ ადამიანის, მოქალაქის აღზრდას, მის შემდგომ განვითარებას.

**– იქნებ სახელმწიფოს მხრიდანაც მეტი ყურადღება და მხარდაჭერაა საჭირო?**

– ამ სფეროში მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება მაქვს. რომ გადავხედავ, რა იყო და ახლა როგორ არის, ვერ ვიტყვი, რომ ეს უყურადღებობაა. ამჟამად უფრო პრესტიჟულად მიჩნეული ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიმართ ინტერესი და მოთხოვნილება საბაზრო ეკონომიკამ, პოლიტიკურმა კურსმა და ზოგადად, საზოგადოების პოლიტიზებამ გამოიწვია. სკოლამდელი და არა მხოლოდ სკოლამდელი სფერო, პედაგოგიკა მოექცა ჩრდილში. თქვენ ქართული ხასიათიც ახსენეთ. ესეცაა იქნებ განმსაზღვრელი ფაქტორი, ქართველ მშობლებს გვიყვარს ჯერ აუცილებლად უმაღლესგანათლებული შვილები, მერე პრესტიჟულ ფაკულტეტებდამთავრებულები. დრო ამას დაარეგულირებს. დიახ, სასურველია მეტი სიახლე მეთოდური განხრით, მეტი ახალი სახელმძღვანელო, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია, ამ კუთხით გვაქვს სასიამოვნო ცვლილებები. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ფაკულტეტის დაფინანსება სტიმულზე მეტია, უდიდესი დახმარებაა. "ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ არის, მასწავლებელი რომ არ ჰყოლია"... გვახსოვს ცნობილი საბავშვო ლექსი. და აქვე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი, ძალიან ჭკვიანი და შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი პირველი სიტყვების წარმოთქმისთანავე ჰყავდეს მოზარდს. მაგრამ ფუჭი მცდელობა იქნება ყველაფერი, ყველანაირი მხარდაჭერა, თუ ამ სფეროში არ მოხვდნენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვი უყვართ. უმთავრესი სწორედ ბავშვების სიყვარულია, რადგან ამაზეა დამოკიდებული ნებისყოფა და შემართება, ეს საკმაოდ რთული სპეციალობა რომ საჭიროებს.

მე კარგა ხანს საქართველოში არ ვცხოვრობდი. მაშინ ჩემი შვილიც პატარა იყო და აქედან გამომდინარე, რუსეთისა და უკრაინის საბავშვო ბაღებს შედარებით ახლოს ვიცნობდი...

**– ალბათ, რადიკალურად განსხვავებული პირობები იყო იქ?**

– "ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს" იქ არა მხოლოდ ლოზუნგი, არამედ განხორციელებული მოწოდებაა. საუკეთესო ინფრასტრუქტურა საბავშვო დაწესებულებებში, კვება, და, რაც მთავარია, მიდგომა ამ სისტემისადმი სრულიად განსხვავებულია. საბავშვო ბაღი ღობიდან იწყება, მისი ღობე არა მხოლოდ ფერადი და ლამაზი, საინტერესოც უნდა იყოს. აქედან იწყებს ბაღში მისული ბავშვი ახალი სამყაროს, ახალი სახლის შეცნობას, დაინტერესებას იმით, რა იმალება იმ ღობის იქეთ. აქ იწყება მისთვის ზღაპრული სამყარო.

**– სამტრედიაში რა იწყება ღობიდან?**

– მინდა უკეთესი იყოს ის, რაც არის! თუმცა აქვე ისიც, რომ არა გარკვეულწილად, არამედ მნიშვნელოვნად წინ მიდის საქმე ინტერიერისა და ექსტერიერის გასაუმჯობესებაში. ძალიან სასიხარულოა, რომ სამტრედიაში განსაკუთრებული ყურადღება სოფლებში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებს ექცევა. სოფლის საბავშვო ბაღებს თითქმის ყველგან ძალიან კარგი ეზოები აქვთ, შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი. მოგეხსენებათ, ისედაც მეტი ბუნებრივი შესაძლებლობები, მეტი სიმწვანეა სოფელში ეზოების გასალამაზებლად. მათი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხშირ შემთხვევებში სოფლის პროგრამებითაც ფინანსდებოდა. რა თქმა უნდა, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდანაც საჭირო ინვენტარით მარაგდებიან და წინა წლებთან შედარებით, სოფლის საბავშვო დაწესებულებები გარკვეულ სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ჩვენი გაერთიანების ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყოფილი იყოს საჭირო ინვენტარითა და ნივთებით. ძალიან მახარებს და მეამაყება, რომ ახალ სასწავლო წელს ღანირი საბავშვო ბაღის ახალი შენობით, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურით შეხვდება. მართლა ძალიან კარგი ბაღი ექნება ღანირს და ეს მისასალმებელია.

რა თქმა უნდა, ქალაქის საბავშვო ბაღებსაც სჭირდებათ და აქვთ შესაბამისი ყურადღება, მაგრამ მოგეხსენებათ, სოფელში ბაგა-ბაღი და სკოლა, შეიძლება, ერთადერთი კულტურული დაწესებულებები იყოს, ქალაქებში კი მეტი შესაძლებლობებია ბავშვის განვითარებისთვის. მე ქალაქის მეოთხე, დიდი ჯიხაიშის პირველი და ბაშის საბავშვო ბაღების მეთოდისტი გახლავართ. შემიძლია ვთქვა, რომ ამ საბავშვო დაწესებულებებში გასულ წლებთან შედარებით რადიკალურად გაუმჯობესებული, მოწესრიგებული გარემოა ბავშვებთან მუშაობისთვის.



**– ზოგადად ქვეყანაში და ბოლო პერიოდში სამტრედიაშიც ძალიან მომრავლდა კერძო საბავშვო ბაღები. იღებენ ისინი მეთოდურ მითითებებს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებიდან? აქვე ისიც, რომ სახელმწიფო საბავშვო ბაღებში იგივე თანხა რომ იყოს გადასახდელი ყოველთვიურად, ბევრი იმ მშობელთაგან, დღეს რომ კერძო ბაღში დაჰყავთ, ბავშვს არ მიიყვანდა მაღალი გადასახადის გამო.**

– დიახ, ძალიან კარგი და საჭიროა ბავშვებისთვის ფერადი და მოწესრიგებული გარემო, მაგრამ ასეთი სახელმწიფო ბაგა-ბაღებშიც აქვთ ბავშვებს. ყველაფერი გასათვლელია, სახელმწიფო საბავშო ბეღებში, იმ სტანდარტული შენობებით შესაბამისი გარემო იქმნება, ასაკის შესატყვისადაა განსაზღვრული კვების რაციონი. კი ბატონო, კარგი და მისასალმებელია, რომ ვინმემ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით რაღაც გააკეთა, ადამიანები დაასაქმა, მაგრამ ეს მხოლოდ ბიზნესის დონეზე არ უნდა დარჩეს, პასუხისმგებლობა უნდა გაისიგრძეგანონ მსგავსი კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და აღმზრდელებმა იმისა, რასაც შეეჭიდნენ. აუცილებელია შესაბამისი მეთოდური სწავლების გავლა. ასაკისთვის შესატყვისი განათლების მიღება სკოლამდელი ასაკიდან უნდა დაიწყოს მოზარდმა. ჯერჯერობით არანაირ მეთოდურ მითითებას არ იღებენ ისინი ჩვენგან და ვერც იმას გეტყვით, რა ხდება ამ კუთხით ამ საბავშვო დაწესებულებებში. ვიმედოვნებ, აღსაზრდელებთან მეცადინეობის პროცესი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს.

**– არაერთხელ ახსენეთ მეთოდური სწავლება. თავად სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტის შვილი გახლავართ და მეტ-ნაკლებად ვიცნობ ამ სფეროს. მახსოვს, დედაჩემს "აისი" და "ჯეჯილი" სამაგიდო წიგნებად ჰქონდა, როცა სამუშაო გეგმას ადგენდა.**

– ჩვენ ამ კუთხით მითითებებს დედაქალაქში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სააგენტო გვაძლევს. ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიახლე არაფერია, მაგრამ შარშან პროგრამაში ჩაისვა ძალიან საინტერესო და კარგად შედგენილი სახელმძღვანელო, რომელიც ძირითადად იმ ასაკის პატარებისთვის იყო განკუთვნილი, სკოლის მიღმა რომ დარჩნენ და მოსამზადებელ ჯგუფს რომ დაექვემდებარნენ. საერთოდ, მოსამზადებელი ჯგუფი გასულ წელს საპილოტე და ექსპერიმენტული გახლდათ. ვთვლი, რომ ძალიან გაამართლა ამ ჯგუფმაც და სახელმძღვანელომაც. თუ შეიძლება ითქვას, მსოფლიო მოქალაქის აღზრდა შეიძლება ამ წიგნით, რადგან მასში მოცემულია ძალიან ტევადი მასალა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაზე, არამედ, ზოგადად სამყაროზე. ბავშვები მისი მეშვეობით უცხო ქვეყნებს, მათ კულტურას მენტალიტეტს გაეცნობიან მათი ასაკისთვის შესატყვისი ტერმინოლოგიით. ამ სახელმძღვანელომ ერთგვარად ამოავსო სისტემაში აქამდე არსებული ინტელექტუალური ლაფსუსები. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა ეს პროგრამა საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფებშიც შეგვეტანა.

**– პროფესიაზე საუბარი გაგვიგრძელდა. საბავშვო ბაღების მიღმა ვინ არის ქალბატონი მარინა?**

– როგორ არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი... ჩვეულებრივი, მორიდებული ქალი ვარ, რომელიც ქართული მენტალიტეტის მქონე ოჯახში გაიზარდა და ამ მენტალიტეტით ცხოვრობს. ძალიან ვერიდები პირადულ თემებზე საუბარს. არც ის მიმაჩნია მართებულად, ყველა ნაბიჯის გადადგმას, ჭიქის აწევას, პირადულ მომენტებს სოციალურ ქსელებში რომ გამოჰფენენ.

**– ქალებს ჭირვეულობას გვაბრალებენ მამაკაცები, ოჯახშიც ასეთი მორიდებული ბრძანდებით?**

– კი! მინდა გულისწყვეტით ვთქვა, რომ მაქვს დიდი ნაკლი – ერთადერთი შვილის დედა ვარ. მოხდა ისე, რომ მეტი შვილი არ მყავს, არადა, ამის სურვილიც მქონდა და გმირი დედობითაც ვერ დავიკვეხნი. სამაგიეროდ, ძალიან მინდა ჩემს ვაჟს ჰყავდეს ბევრი შვილი.

**– დედისერთას დედები განსაკუთრებით პრეტენზიული დედამთილები არიანო, ამბობენ...**

– ჰო, ასე მაშინებენ. არ ვიქნები პრეტენზიული დედამთილი, ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა იყოს. იქნებ ბანალური და გაცვეთილია, მაგრამ მართლა მინდა შვილივით მივიღო ჩემი შვილის რჩეული. ქალიშვილი არ მყავს და ვეცდები მისი სახით ქალიშვილის დედაც ვიყო.

**– ჩაერევით მისი არჩევანში?**

– არა! საკუთარი არჩევანი თავად უნდა გააკეთოს და ველოდები მის არჩევანს. მე გავაკეთე არჩევანი 30 წლის წინ. ახლა მისი ჯერია და მე მისი მჯერა. მჯერა, მენტალურად მისაღები იქნება მისი არჩევანი, რადგან ოჯახისგან, იმ გარემოსგან, სადაც აღიზარდნენ, რადიკალურად განსხვავებული მენტალობა არ აქვთ შვილებს. ბავშვი სამყაროს, ძირითადად, ოჯახის თვალებით ხედავს.

მიხარია და მომწონს ყველა კარგი სიახლე. მივესალმები ზოგიერთი ტრადიციის გათანამედროვებას, მაგრამ არა ღირსების ჩარჩოდან ამოვარდნას. გარკვეული ჩარჩოები აუცილებელია, აუცილებელია ისევე როგორც საზღვარი. ყველა ურთიერთობას აქვს საზღვარი, რომელიც არც ერთმა მხარემ – შვილმა, ცოლმა, ქმარმა, მშობელმა, არ უნდა დაარღვიოს. ამ საზღვრის დარღვევას უპატივცემულობა მოჰყვება, საიდანაც იწყება პრობლემები ურთიერთობაში. ამას არა მხოლოდ ქალი და ოჯახის დედა, არამედ როგორც პედაგოგი ვამბობ. არის საკითხები ოჯახურ და არა მხოლოდ ოჯახურ ურთიერთობებში, რომელთაც არათუ გათანამედროვება, პურიტანული სიზუსტით დაცვა სჭირდებათ. მეუღლეები და საერთოდ, ოჯახის წევრები ერთმანეთის გულისტკენას უნდა მოერიდონ. ეს არის სიყვარულის საწყისი. მე არასდროს მიცხოვრია მხოლოდ ჩემი თავისთვის. იფიქრო მხოლოდ საკუთარ თავზე და ამას თავისუფლება დაარქვა, ჩემი აზრით, არშემდგარი ადამიანის თვისებაა. როცა ქალს ოჯახი ჰყავს, ქმარზე, შვილზე, ოჯახის წევრებზე ფიქრი საკუთარ თავზე ფიქრის იდენტურია.

**– დიდი ოჯახი გაქვთ?**

– ჩვენს სახლში მეუღლესთან და ჩემს ვაჟთან, ბესო მანჯგალაძესთან ერთად ვცხოვრობ. მან უკრაინაში, ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო განათლება, ფინანსისტია და ამჟამად კომპანია "ალტკომში" მუშაობს.

არ ვთვლი, რომ მხოლოდ ქმარ-შვილია ჩემი ოჯახი. ჩვენს პატარა ოჯახს, დიდი და ძალიან კარგი ოჯახი ჰყავს, ისინი ჩემი და ჩემი მეუღლის დედმამიშვილები, ჩემი მშობლები არიან. ახლო ნათესავები და გულშემატკივრები. ჩვენ ყველა ერთად ვართ ერთი დიდი ოჯახი და ეს დიდი ოჯახია ჩემი საზრუნავი. ვფიქრობ, ტრადიციული ოჯახის ქალს სხვანაირად არ შეუძლია.

**– თქვენმა ამგვარმა ხასიათმა ხომ არ შეუწყო ხელი იმას, რომ საკუთარი სურვილები და მისწრაფებები ჩრდილში დარჩენილიყო?**

– იქნებ იყო, მაგრამ ამას არასდროს გავუღიზიანებივარ. მერე რა, ახლა ასეა, ხვალ სხვანაირად იქნება.

**– რამდენად აფასებს ამას თქვენი ოჯახი და უშუალოდ თქვენი მეუღლე?**

– მეუღლე ძალიან აფასებს და ამას ხშირად ვგრძნობ. ჩვენ სულიერად შემდგარი მეუღლეები ვართ, გვაქვს ღირებულებები, რომლებიც ჩვენს შორის არ ირღვევა. და მთავარი ღირებულება ამ ღირებულებებიდან ჩვენი ოჯახია. შეცდომები ხშირად მოსდით და ბევრს მოსდის ცოლქმრულ ურთიერთობებში. მაგრამ, შეცდომა, რომელიც მამაკაცს შეიძლება ეპატიოს, ქალს არ ეპატიება. თანამედროვეთ არ მოეწონებათ ასეთი აზრები, მაგრამ ჩემი შეხედულება ასეთია!

მე და ჩემი მეუღლე საკმაოდ ადრეულ ასაკში დავქორწინდით, 19 წლისანი ვიყავით. მას მერე ბევრი ლამაზი დღე გავვლეთ ერთად. ახლა ხშირად ხმარობენ სიტყვას სიურპრიზი. მას არაერთი სიურპრიზი გაუკეთებია ჩემთვის, მაგრამ ძალიან ჩუმად და ზედმეტი აფიშირების გარეშე. ეს მხოლოდ ჩვენი საქმეა, ჩვენი სიყვარულის გასალამაზებლადაა და სხვების დასანახად გამომზეურება არ სჭირდება. რა თქმა უნდა, რაღაც მეწყინა და ძალიანაც მეწყინა, მაგრამ ამასაც გამართლება მოვუძებნე. ქალი ვარ და ეს უნდა შევძლო, ასე უნდა გავაკეთო. რაც ვერ გავამართლე, საგულდაგულოდ შეფუთული გულის კუნჭულში შევინახე და მორჩა, დავივიწყე.

**– გინდათ, თქვენი ვაჟიც ისეთი მეუღლე იყოს, როგორიც მამამისია?**

– არა, უკეთესი უნდა იყოს. იგი ჩემი სულის ნაწილია, ჩემი გამოძერწილია და უკეთესი მინდა იყოს, თავის მშობლებზე უკეთესი ყველგან და ყველაფერში!

**– ადვილია ისეთ დიდ ოჯახში, როგორზეც თქვენ საუბრობთ, დაბალანსებული ურთიერთობების შენარჩუნება?**

– ცოტა რთულია, მაგრამ შესაძლებელი. ქალები აბალანსებენ ამ სიტუაციებს. არახალია თუ ვიტყვი, რომ ქალი ოჯახის ხერხემალია, დედაბოძია. ურთიერთპატივისცემას ურთიერთდათმობაც მოაქვს. ეშლება ყველას და შეიძლება მეც შემეშალოს. თვითკრიტიკული ვარ, ვეტყვი ზოგჯერ საკუთარ თავს, ეს მე არ მომეწონებოდა და მას რატომ უნდა მოეწონოს. ბოდიშის მოხდა არ უნდა გაგიჭირდეს, უკან დახევა უნდა შესძლო. ბოდიში არ აკნინებს შენს პიროვნებას, პირიქით, საკუთარ თავთან ომს გაგებინებს.

**– ჩინებული დიასახლისიაო, ამბობენ თქვენზე.**

– ვერ გეტყვით, მიწონებენ ნახელავს. შედარებით ახალგაზრდა რომ ვიყავი, უფრო საკონდიტრო ნაკეთობებით ვიყავი დაინტერესებული, არ მეზარებოდა არაფრის კეთება. ახლა კერძების კეთებას ვეტანები. ჩინებულის რა მოგახსენოთ და ისე ვცდილობ გემრიელად მოვამზადო. ხელსაქმეც მეხერხება, ვქსოვ, ვქარგავ, ვკერავ. საკუთარი ინტერპრეტაციით სამკაულებს ვაკეთებ. ასე, რომ თავისუფალ დროს "გასართობი" მაქვს.

**– ხშირად ახსენებთ მენტალიტეტს. დღევანდელობის ევროპეიზმისაკენ აღებული კურსი, თანამედროვეობის პრინციპები და მოთხოვნილებები ღირებულებების გადახედვას მოითხოვს. რა თქმა უნდა, უდიდესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ევროპა უღირსს ღირსებად არ აქცევს, მაგრამ რაღაც ღირებულებების გადახედვა გვიწევს...**

– აღვნიშნე კიდეც, რომ ახალს და წარმატებულს ყველაფერს მივესალმები, მაგრამ სიახლეს ბრმად ვერ მივიღებ. ევროპა გასაგებია, მაგრამ ამერიკანიზაციის ფერხულში ვერ ვებმები ასე თამამად. იმ ამერიკელმა და ვინც არ უნდა იყოს, საიდანაც არ უნდა იყოს, ჯერ ჩემი ნახოს და გაეცნოს, იქნებ მასზე ჭკვიანი ვარ, მასზე უკეთესი ოჯახი მაქვს, უკეთესი დედა ვარ და უკეთ გაზრდილი შვილი მყავს. იქნებ მასზე მეტად ვიცი მეგობრობის, მეზობლობის ფასი. იქნებ მე უფრო მოსაწონი ვარ. მეც ვნახავ მისას და რაც მომეწონება, რაც ჩემი შეხედულებებისა და ცხოვრების სტილისთვის მისაღებია, ვისწავლი მისგან.

**– თქვენ კარგი მეგობარი იქნებით...**

– ვცდილობ. მყავს ბევრი მეგობარი. ნაწილი რუსეთში დარჩა საცხოვრებლად, მაგრამ ურთიერთობები არ გაგვიწყვეტია. მინდა როგორც მეგობრებისთვის, ისე ყველა ადამიანისთვის საიმედო ვიყო. აღმსარებელი ქრისტიანი გახლავართ და ყველა განსაცდელს უფალი მაძლევინებს, ჩემთვის სულიერი ღირებულებებია მთავარი, სულგრძელი და მიმტევებელი მინდა ვიყო. იმედი მაქვს უფლის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება.

# 15 სექტემბერი ნოდარ ადეიშვილის დაბადების დღეა
# ჩიტის ფრთას დატოლებული სტრიქონები

**ქეთევან ჭელიძე**

რეანიმაციაში თითქოს ისევ ებრძვის სიკვდილს ჩიტისგულა პოეტი _ "მოფრინდება მალე ყვავი,
გაფრინდება სული სულეთს,
ვინ გაიგებს, ვინ ვიყავი,
ან წასვლისას რა ვისურვე..."

15 სექტემბერი ნოდარ ადეიშვილის დაბადების დღეა, უკვე ტკივილთან ნაზიარები დღე. ისევ მისი ლექსები და ხელახალი აღმოჩენა პოეტის. სხვანაირად იკითხება მისგან მიტოვებული, "ყელაწურული" მისი პოეზია.

"მოსდგა და მოსდგა სიკვდილი ბიჭებს,
ვაი,
ვინ უნდა იყოს შემდეგი?.."
წავიდა...
"მშვიდობით, მნათო,
მივალ, გახსოვდეს
შემოწირული გული და ცრემლი".

ჩვენი მეგობარი ნოდარ ადეიშვილი _ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი 1935 წელს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ ხიბლარში. მისი პირველი ლექსები ჟურნალ "ცისკარში" დაიბეჭდა. გამოცემული აქვს ოცზე მეტი პოეტური კრებული: "შენ დამრჩი საფეხურებად", "მთვარის გზები", "სარკის ნატეხები", "შეგხედავ გამიხარდება", მგზავრები", "უწარწერო ქვები", "დაღლილი ლანდი", "ლექსები" "თუ მომენატრო" და სხვები.

პოეტ ზაალ ებანოიძისა არ იყოს: "იმაზე დიდი პოეტია, თქვენ რომ დიდი პოეტები და მწერლები იცით. გაოცებას გამოიწვევს ხვალ და ზეგ." ოცდაამეერთე საუკუნის პოეტი! _ ასე შეაფასეს იგი.

კონად დაჰქონდა თავისი ლექსები. მაგიდაზე გადაშლიდა იებად, ჩიტებად, ცისარტყელებად, "სიზმრის კოშკებად", სანთლებად ანთებულს...

"მისდევს შუკას სამი გოგო,/ სამი ფერის ნანა..."

"მიდის, ხელს გიქნევს ზღაპრიდან ქალი/ და ბჟუტავს ძველი ქოხიც და ლამპაც..."

"როდის ამიხდენ, ღმერთო, ამ სიზმარს,/ როდის მანახებ იმ ცას და ცისკარს..."

"დამიკარ ტაში და წამაქეზე,/ რომ კიდევ ვარ და შენზე ვლოცულობ..."

"ფრთა დამაზომა ნოემბრის ქარმა,/ დამიფრთხო ფარა არაგვის პირზე..."

"როდის მიწყდება ეს წვიმა, ნეტავ,/ ამ გულს ავდრებით როდის წამლობდი..."

"აპყრობილ ხელებს ჩამოაქვთ ზეცა,/ მაგრამ ვის ესმის ამ გამხმარ ძვლების..."

"იმ მხარეს მაინც სამშობლო ჰქვია, ვარდს გესვრიან თუ ტყვიას..."

"ყველგან იმ ცვრიან მინდორს ვიგონებ, გულზე მიხატულს თეთრი კრავებით..." ეს და კიდევ ბევრი სხვა ჩიტის ფრთას დატოლებული სტრიქონები.

სევდას დაუსადგურებია ხიბლარში, იმ "საბატონოში", ნოდარ ადეიშვილის რომ ჰქვია, სადაც "შემოდგომამდე ვარდები იწვის, შემოდგომიდან _ ნეშო და ფიჩხი."

იქ ახლა მეუღლისა და შვილის, ზურაბის, დარდსა და ხსოვნას დარაჯად უდგას პოეტის თანამეცხედრე, ქალბატონი გუზიკო.

"მომშივებიხარ მიწის შიმშილით
და ვტირი, ტირილს სულ რომ მიშლიდი...
თურმე, რა უცებ შრება მდინარე,
თურმე, რა უცებ წყდება ყიჟინი.
ჩიტო, ყვავილო, დღეო ფოფინა,
ამ მზის ჩასვლისას უფრო გიცანით,
სულ თქვენ ყოფილხართ,
სულ ეს ყოფილა,
აკვნის ფიცრიდან _ კუბოს ფიცრამდი."



**ნუგზარ დომენტის ძე რუხაძე**

გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ბატონი ნუგზარ რუხაძე. დაიბადა 1936 წელს, სამტრედიაში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლა, 1960 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ ჰიდრო-გეოლოგის სპეციალობით. 1959-1983 წ.წ. იყო კომკავშირულ, პროფკავშირულ და პარტიულ სამუშაოებზე; 1974-1975 წლებში იყო საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი, ხოლო 1975-1983 წლებში საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. სამტრედიაში მუშაობისას ბატონმა ნუგზარმა შემოქმედებითი ენერგიით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებებით, აღმშენებლობითი კურსის გაგრძელებით, კულტურის, სპორტის დარგებისადმი განსაკუთრებული მიდგომითა და ყურადღებით, კაცურკაცობით, მაღალი ინტელექტითა და სამართლიანობით დაგვამახსოვრა თავი.



1983-1986 წ.წ. იგი საქართველოს სახელმწიფო მინისტრია. ხოლო 1986-1990 წ.წ. საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი. 1991-2004 წ.წ. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მშენებლობის სამმართველოს უფროსი. ორჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1978-1983 წლებში იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-10 მოწვევის დეპუტატი. მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ლაურეატის წოდება მშენებლობის დარგში.

ამ მძიმე დღეებში გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ მის ქალიშვილს ლელას და შვილიშვილ თამარს.

ღმერთმა ნათელში დაავანოს ბატონი ნუგზარის სპეტაკი სული.

*ნათელა გელაშვილი, თამაზ მიქაძე,*
*ბორის ფოცხვერაშვილი, გიორგი რევიშვილი*

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რაიონის ყოფილი თავკაცი, ბატონი

**ნუგზარ დომენტის ძე რუხაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ის გმირი იყო...
# ვიქტორ აბაშიძე

აფხაზეთის ომის დაწყების 25 წლისთავთან დაკავშირებით კიდევ ერთი ახალგაზრდა, ჩვენი დროის გმირი უნდა გავიხსენოთ, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში უყოყმანოდ რომ გასწირა ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე.

1968 წელს დაიბადა ვიქტორ აბაშიძე.

1983 წელს დაამთავრა ხობის საშუალო სკოლა და სწავლა სამტრედიის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში გააგრძელა.

1990 წელს დაოჯახდა. ხარობდა ვაჟიშვილით, ერთგული მეუღლით.

1993 წელი.

ოჩამჩირეში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს, ირგვლივ ცეცხლის ალშია გახვეული ყველაფერი, არიან დაჭრილები, დახოცილები, ერთი სიტყვით, ომია აფხაზეთში.

სწორედ ოჩამჩირეში მიმდინარე ბრძოლებისას დაიღუპა გმირის სიკვდილით 25 წლის ახალგაზრდა კაცი ვიქტორ აბაშიძე 1993 წლის 18 სექტემბერს.

სამშობლო არასოდეს დაივიწყებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ომებში გმირულად დაცემულთ.

*ლევან გაბერავა*



ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე

**დავით მეგენეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# როგორ მოქმედებს სტრესი ჩვენს ორგანიზმზე

სტრესი წარმოადგენს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ რეაქციას გარემო ფაქტორების საპასუხოდ. სტრესის დროს ორგანიზმში აქტივდება სიმპატიკური ნერვული სისტემა და ვითარდება ე. წ. "ბრძოლის ან გაქცევის" რეაქცია. ამ დროს ორგანიზმი ან გაქცევას ცდილობს ან ბრძოლას. ორგანიზმში ეს რეაქცია არ შეიძლება შენარჩუნდეს დიდხანს, ამიტომ რაღაც დროის შემდეგ ორგანიზმზე მმართველობას ისევ იღებს პარასიმპატიკური სისტემა და ადამიანი უბრუნდება ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. ადამიანში სტრესი უმეტესად მოიხსენიება, როგორც უარყოფითი მოვლენა, თუმცა შეიძლება, იგი დადებითმა მოვლენებმაც მოუტანოს ადამიანს.

მცირე კავშირი არსებობს სტრესსა და დაავადებას შორის. ქრონიკულმა და ძლიერმა სტრესმა ადამიანი შეიძლება გახადოს უფრო სუსტი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგ. ადამიანები, რომლებიც უვლიან დემენციის მქონე პაციენტებს (უმეტესად ოჯახის წევრები იგულისხმებიან) არიან უფრო სტრესის ქვეშ, უფრო ხშირად ემართებათ დეპრესია, შფოთვა და სხვადასხვა დაავადებებიც.

ქრონიკული სტრესი ამცირებს იმუნიტეტსაც.

ეუსტრესი წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დროსაც სტრესი აძლიერებს ადამიანის ორგანიზმს ან ფუნქციას. მაგალითად, ძალისმიერი ვარჯიშები წარმოადგენს სტრესს, მაგრამ მის შედეგად ორგანიზმი ძლიერდება არათუ სუსტდება.

სტრესის სიმპტომები: კოგნიტური _ მეხსიერების პრობლემა, გაღიზიანებულობა, კონცენტრაციის პრობლემები, შფოთვა, შფოთვითი ფიქრები, მუდმივი წუხილის განცდა, პესიმისტური მიდგომა საკითხებისადმი.

ემოციური სიმპტომები _ გაღიზიანებადობა, ნერვული აღგზნებული მდგომარეობა,

განადგურებულობის შეგრძნება, დეპრესიის ან უბედურების შეგრძნება, იზოლოაციის და მარტოობის შეგრძნება.

ფიზიკური სიმპტომები _ ტკივილი, დიარეა ან კონსტიპაცია, ხშირი შარდვა, საჭმლის მონელების პრობლემები, გულისრევა, ღებინება, გლუკოზის დონის ცვლილება, ტკივილი მკერდში, ლიბიდოს დაკარგვა,

ხშირი გრიპი ან გაციება,

მენსტრუალური ციკლის დარღვევები.

სტრესი აუარესებს მეხსიერებას და ხელს უწყობს ვისცერალურად ცხიმების დაგროვებას (ანუ მუცელში ცხიმების ჩალაგებას)

სტრესის პირდაპირი პრევენცია არ არსებობს, შეიძლება ადამიანმა მიმართოს იზოლაციას სტრესის პრევენციის მიზნით, მაგრამ თვით იზოლაციაც შეიძლება გახდეს სტრესის მიზეზი.




გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ილია ქარჩილაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

# მობრძანდით, გელით!

**ლევან ბაბეჩავა**

დიდიხანია არავის უკვირს, პირიქით, სიხარულით ელიან მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ ინტელექტუალურ-შემეცნებით ღონისძიებებს.

აქ, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ყოველთვის ხალხმრავლობაა, მოდიან პენსიონერები, ექიმები, პედაგოგები, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები, ახალგაზრდები.

როგორც წინა წლებში, ახალი სასწავლო წლიდანაც ბიბლიოთეკა სრულ მზადყოფნაშია და ჩვენთან დასაქმებული ადამიანებიც ჩვეული სითბოთი და სიყვარულით გაუწევენ ახალგაზრდებს მეგზურობას ცოდნის სამყაროსაკენ, კვლავ მოვამზადებთ შინაარსიან ღონისძიებებს. _ განაცხადა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ.

სექტემბრიდან აბიტურიენტთა ახალ ნაკადს ველოდებით, ყოველმხრივ ვეცდებით, მათ მეცადინეობისათვის საჭირო პირობები შევუქმნათ. ამ დროს ვლინდებიან განსაკუთრებული ნიჭის ახალგაზრდები, რომლებიც წლების შემდეგ ცნობილ პიროვნებებად ყალიბდებიან. უკვე დაიმსხვრა ის მითი, თითქოს ახალგაზრდები მხოლოდ ინტერნეტით სარგებლობენ. არა, წიგნს ინტერნეტი ვერასოდეს შეცვლის. _ აღნიშნავს სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი რუსუდან კახიანი.

მკითხველთა მომსახურების განყოფილების გამგის, მარინა ჩხაიძისა და უფროს ბიბლიოთეკარ მავლინა თავაძის თქმით, ბოლო ხანებში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არაერთი საჭირო ლიტერატურით შეივსო, რითაც უპრობლემოდ ისარგებლებენ ჩვენი მკითხველები და, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდები, მოსწავლეები, აბიტურიენტები.



მაშ ასე, მიბრძანდით ახალგაზრდებო, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, აქ თქვენს განკარგულებაში იქნება მრავალათასიანი წიგნადი ფონდი, ინტერნეტი. სურვილის შემთხვევაში თავად შეგიძლიათ გახდეთ აქ გამართული ღონისძიებების მონაწილენი, თვეში ერთხელ საშუალება გექნებათ, მოისმინოთ ბიბლიის გაკვეთილები, რომელსაც უძღვება დეკანოზი ანტონი (ვაშაკიძე). გათვალისწინებული იქნება თქვენი წინადადებებიც.

# ტურნირი მინი ფეხბურთში

ამ დღეებში დასრულდა ტურნირი მინიფეხბურთში, ეწრის თემში, რომელიც ახლად მოწყობილ სტადიონზე უბნებსა და მომიჯნავე სოფლის გუნდებს შორის გაიმართა.

ფინალური ტურნირი, სიმბოლურად, გვიმრალასა და კეჭინარის, 13 წლამდე ასაკის ფეხბურთელების მატჩით გაიხსნა. გაიმარჯვა გვიმრალას გუნდმა. რაც შეეხება ფინალურ მატჩს, ხორავას ქუჩისა და ეწრის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ გამარჯვება ხორავას ქუჩის გუნდმა მოიპოვა.

ფინალურ შეჯიბრს მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამგებელმა გამარჯვებული გუნდი თასებითა და მედლებით დააჯილდოვა.

ეწრის თემში სტადიონის რეაბილიტაციამ, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ხელი შეუწყო სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩატარებას.

***"სამტრედიის მაცნე"***





მოყვასს პირში უძრახი და
მტერს კი რისხვას თავში ახლი,
ყოველი დღე წინ მიიწევს
შენი მოსწავლეთა სახლი.

ხელფასებმაც მოიმატა
და გაცვია ფეხზე "ბატა",
უკვე დროა, ჩვენო ტატა,
დაიხურო თავზე ფატა!

# მადლობის ბარათი

იუსტინე ჯანელიძის, გრიგოლ მუხაძის, ტატიანა შატილოვას... სამშობლოში მარჯვენაკურთხეული ექიმები მრავლად არიან.

**იაკობ და მამუკა ჯიქიების** სახელი დიდი ხანია სავარდო და სამაისო ქუთაისს გასცდა.

ღვაწლმოსილი პედაგოგი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი, დიდ ჯიხაიშელი **ვახტანგ მანჯგალაძე** გვეწვია რედაქციაში ამ დღეებში და გვიამბო:

''მარჯვენა თვალი გამიხდა პრობლემური, თბილისში ვმკურნალობდი, თუმცა, უშედეგოდ. ბოლო დროს მივმართე ქუთაისში ''კლინიკა ლჯ''-ის ოფთალმოლოგ მამა-შვილს. შესაბამისი პროცედურების შემდეგ ჩამიტარდა ოპერაცია, ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და ტკივილიც ნელ-ნელა გაქრა.

10-დან 9 ექიმი თვალს ამოიღებდა ისეთი მდგომარეობა გქონდა, ყოჩაღ, ქუთაისელ ექიმებს!'' _ აღიარეს თურმე თბილისელმა ოფთალმოლოგებმა.

სამადლობელს არ იშურებს და უდიდეს კმაყოფილებას გამოხატავს ბატონ იაკობ ჯიქიასა და მისი გუნდის მისამართით ბატონი ვახტანგ მანჯგალაძე. გულწრფელ მადლობის ადრესატები კი ბატონები იაკობ, მამუკა ჯიქიები, ქალბატონები თეა როხვაძე, მაკა ბერაძე და მაია გაბრიჩიძე არიან.

ყოჩაღ, ქუთაისელ მედიკოსებს, მრავლად მიგეღოთ გამოჯანმრთელებულ პაციენტთა გულწრფელი სამადლობელი, ყველა ჯილდოზე ღირებული რომაა ჭეშმარიტი მკურნალისათვის.

***ლევან ბაბეჩავა***

# ვულოცავთ!

**ბატონ დავით ბაღდავაძეს!**

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ დავით ბაღდავაძეს, ჯანმრთელობას, უფლის წყალობას ვუსურვებთ.

***პატივისცემით ვეტერანთა რაიონული კავშირი***

---

**მაყვალა ჩირგაძეს!**

შენი ლექსის ფერი დაჰკრავს სამყაროს, რომელშიც შენს მეგობრებს გვაცხოვრებ. ''ავარდისფერებული ღრუბლის თეთრი ქულა'' დაჰყურებს იმ სამყაროს, ''თბილსა და სიყვარულით სავსეს, პოეტი ქალის სიტყვითა და საქმით გაჯერებულს, სადაც სულ თესავ ''სიკეთეს, სიხარულს და სალამს მადლიანს''.



დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო. მთად დაგდგომოდეს მოყვასის სიყვარული. ბედნიერ დედას, ბებიასა და დიდ ბებიას ღვთისმშობელი გფარავდეს!

მრავალს დასწრებოდე, მშვენიერო ქალბატონო!

***ნათელა გელეიშვილი***
***ნინო ნანიტაშვილი***
***ქეთევან ჭელიძე***

---

**დემეტრე კიკვაძეს!**



კიდევ ერთი ახალი სასწავლო წლის დაწყებას და 8 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო დემეტრე. ჯანმრთელი, სასახელო ბიჭი გაიზარდე, ისეთი, შენს ოჯახს, ჯიშსა და ჯილაგს რომ შეეფერება.

გვეამაყოს შენი კარგი ბიჭობით, კარგი ქართველობით.

იდღეგრძელე!

***"სამტრედიის მაცნე"***

**ქალბატონ ლელა მელქაძე-თავაძეს!**



ჩვენო ლელა, გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და წელთა სიმრავლეს.

ღმერთი ფარავდეს თქვენს ოჯახს!

***დიდი სიყვარულით უახლოესი მეგობრები***

**ქალბატონ მაყვალა ჩირგაძეს!**

ქართული სიტყვის დაუღალავ მსახურს, ნიჭიერ პოეტსა და ''სამტრედიის მაცნეს'' მარად სასურველ სტუმარს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს.

იხარეთ და იდღეგრძელეთ!

***"სამტრედიის მაცნე"***

**ინგა ბექაიას!**



გილოცავ ინგა, გლოცავ ჩემთვის ძვირფასს, საყვარელს და საიმედოს. ამიერიდან გასათენებელი ყველა დღე დაგელოცოს. ღიმილიანი მენახე მუდამ. დიდხანს გვევლოს ერთმანეთის სიყვარულით ერთ სისხლ და ხორც, ჩვენს ურთიერთობებს ხინჯი არ შეჰპარვოდეს. მეიმედები შენც და მეიმედებით ყველა, რადგან ჩემები ხართ!

მიყვარხარ ინგა, ბევრი ლამაზი დაბადების დღე მომელოცოს!

***თეა ბაბუნაშვილი***

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა